



# მეხეთის უნივერსიტეტი

№11 (297) დეკემბერი, 2025 წელი

ბათუმის 1990 წლის დეკემბერიდან



83.2

## მეხეთიდან სოხუამდე - დღობისა და ერთობის გზა რეკორტაჟი ალექსანდრე შერვაშიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიებიდან



● **9 დეკემბერს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შეხვედრა თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის წარმომადგენლებთან. ამჯერად უნივერსიტეტს ესტუმრნენ პროექტის ხელმძღვანელი **გოგა ჩანადირი** და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **მარიამ ცანდიშვილი**. მათი ვიზიტის მიზანი შემოდგომის სემესტრის სტიპენდიატების გაცნობა და ფონდის საქმიანობის დეტალების გაზიარება იყო. სტუმრებს მიესალმნენ და ფონდის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაცა ბერიძემ**, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ასმათ ვესაიამ**, ინჟინერიის, აგრარულ

და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორებმა **ლელა ნითაშვილმა** და **თემურ გვარამაძემ**. ფონდის ყოფილმა სტიპენდიატებმა – **იური ბალახაძემ** და **ლიკა გოგოლაძემ**, ასევე, მიმდინარე სემესტრის გამარჯვებულმა სტიპენდიატებმა – **მინდია ტატალაშვილმა** და **ცოტნე თოდუამ**, მადლობა გადაუხადეს ფონდის წარმომადგენლებს მხარდაჭერისა და მოტივაციისთვის. სიტყვით გამოვიდა ფონდის პირველი სტიპენდიატი **რიმა სუდაძე**, რომელმაც აუდიტორიას თავისი გულწრფელი ემოციები გაუზიარა და დიდი მადლიერება გამოხატა. სტუდენტებსა და დამსწრე საზოგადოებას მიმართა ბატონმა **გოგა ჩანადირმა**, რომელმაც ფონდის საქმიანობაზე ისაუბრა. შეხვედრის დასრულებისას სტიპენდიატებს გადაეცათ ფონდის სამახსოვრო საჩუქრები.

## სიბრძნე, რომელიც 35 წელიწადს ითვლის მე სიყვარულის უნივერსიტეტის შვილი ვარ!

35 წელი – ეს არის გამოცდილებით სავსე გზა, წარმატებები, გამონეგებები და ათასობით სტუდენტის ისტორია. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე სამი ათწლეულის განმავლობაში წარმოადგენს განათლების, მეცნიერებისა და რეგიონული განვითარების მნიშვნელოვან საყრდენს. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს უნივერსიტეტის რექტორთან – **მაცა ბერიძესთან**, რომელიც გვესაუბრება უნივერსიტეტის წარსულზე, აწმყოს მიღწევებსა და მომავლის ხედვაზე.



ვთქვათ. მე უკვე დამამთავრებელ კლასში ვსწავლობ. ჩემს თვალწინ იბადება ახალი რეალობა, ახალი საქართველო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უნივერსიტეტის გახსნის პირველ წელს. იცით, უნივერსიტეტი საოცნებო, რალაც არარეალური და არაამქვეყნიური ფუფუნება იყო, ასე მეგონა. თუ კი რამე სტატუსი შეიძლება ყოფილიყო სანატრელი, ეს იყო სტუდენტის სტატუსი.

გაგრძელება მე-5 გვ.

– მოგესალმებით, **ქალბატონო მაცა**. როგორ გახსენდებათ უნივერსიტეტის დაფუძნების პერიოდი და რა იყო მთავარი გამოწვევები ამ გზის დასაწყისში?

– მოგესალმებით. მივესალმები გაზეთის მკითხველს და გილოცავთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 35 წლის იუბილეს. თქვენმა კითხვამ ძალიან საინტერესო პერიოდში დამაბრუნა, 90-იანი წლები, კონკრეტულად – 1990 წელი. გავიგეთ, რომ ახალციხეში ფუძნდება უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი. მე ამ

დროს სკოლის მოსწავლე ვარ. ურთულესი პერიოდი ქვეყანაში. გაჭირვება, გარკვეულწილად მომავლის შიში იმიტომ, რომ იმ ეპოქის ერთი მხარეა ძალიან ალმაველი ეროვნული მოძრაობა, რომელიც გარდაისახა არჩევნებად და უკვე გვყავს ეროვნული ხელისუფლება და მეორე მხარე – ნელ-ნელა ჩანს კონტურები ქართველთა და აფხაზთა შორის დაპირისპირების. ასე რომ, ახალგაზრდები ალტკინებულები ვართ ქვეყანაში უკვე გამოცხადებული დამოუკიდებლობით და ერთი სული გვაქვს, ამ თავისუფალ საქართველოში ახალგაზრდებმა ჩვენი სიტყვა



83.8

● **23 დეკემბერს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ახალგაზრდული პროექტის – „**მე, ოჯახი,**

**სახელმწიფო**“ – პრეზენტაცია. ღონისძიებას უძღვებოდა პროექტის ავტორი, ქალბატონი **თამარ ჩიბურდანიძე**.



83.9  
**წარმატების საიდუმლო პოზიტივისა და პუდრიკ სწავლაშია**

**სახლი, რომელიც კედლებით არ იწყება აფხაზური ცენტრის აგებაში**

83.10



**ლექსით დანყებული გზა**

83.12





**26 დეკემბერს** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული ღონისძიება, რომელიც აფხაზური ცენტრის – „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ სამწლიან მოღვაწეობასა და **ალექსანდრე შერვაშიძის** უკვდავ შემოქმედებას მიეძღვნა, გასცდა ჩვეულებრივი ღონისძიების ჩარჩოებს და ეროვნული ღირებულებების, ტკივილისა და მომავლის იმედის სიმბოლოდ იქცა. მნიშვნელოვანია, რომ ისტორიულ მესხეთში, მხარეში, საიდანაც საუკუნეების წინ საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის იდეა იშვა, დღეს თანამედროვეობის ყველაზე რთულ კითხვებზე პასუხების ძიება კვლავ ახალგაზრდა თაობამ, სტუდენტობამ იტვირთა. შეხვედრამ, რომელმაც ერთ სივრცეში მოუყარა თავი სასულიერო პირებს, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ლიდერებს, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წევრებსა და აკადემიურ ელიტას, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „ჩატეხილი ხიდების“ გათეთლება არა იარაღის ძალით, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული სიყვარულით, დიპლომატიითა და იმ სიახლოვეთაა შესაძლებელი, რომელიც, თოფის ლულის მიღმა, გულახდილი დიალოგით იწყება.

დარბაზში ტრიალებდა განსაკუთრებული სულიერი მუხტი – დანერგული მეუფე თეოდორის დალოცვით, რომელიც აფხაზეთში ქართული წირვა-ლოცვის ადგენის რწმენით იყო გაჯერებული, დასრულებული 2008 წლის აგვისტოს ომის გმირის, **არტემ ბალახაშვილის** მამის, **გურამ ბალახაშვილის** მიმართებით, რამაც აუდიტორიას მკაფიოდ დაანახა: სამშობლოს ერთგულება დღეს ნიშნავს ადამიანების გულების მოგებას და იმგვარი მომავლის შენებას, სადაც უმთავრესი გზავნილი – **სისხლი სისხლით არ მოიხანება! ვეძებოთ მშვიდობა!**

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრამ ღირსეულად შეაჯამა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო 35-ე წელი.

ღონისძიება სახელწოდებით – **„ბედი აფხაზი ხელოვანისა“**, გამორჩენილი აფხაზი მოღვაწის – **ალექსანდრე შერვაშიძის**, დრამატულ ცხოვრებასა და მის უკვდავ შემოქმედებით მემკვიდრეობას მიეძღვნა.

ღონისძიებაზე დამსრუთა სიმბოლური მოგზაურობა და ინყო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიედან, სადაც სტუდენტებმა მობრძანებულ სტუმრებს, „სოხუმური წესით“, ცხელ ქვიშაში მოდულბული ყავა შესთავაზეს. ახალგაზრდებმა ეს უძველესი ტრადიცია მესხეთის აკადემიურ სივრცეში გადმოიტანეს.

მოგვიანებით ღონისძიებამ სააქტო დარბაზში გადაინაცვლა და აფხაზური ცეკვით გაიხსნა. ქორეოგრაფიული ანსამბლის – **„მესხეთის უნივერსიტეტის“** მოცეკვავეებმა (ხელმძღვანელები – **ლია და სამსონ მენაბდიშვილები**) შესრულების ემოციურობით დარბაზში საოცარი მუხტი შეიტანეს.

მისასალმებელი გამოსვლების შემდეგ, აფხაზური ცენტრის წევრებმა წარმოადგინეს მხატვრული კომპოზიცია, რომელიც ალექსან-



დრე შერვაშიძის რთულ შემოქმედებით გზას აცოცხლებდა. ამ სანახაობის მომზადებას ფასდაუდებელი წვლილი დასდო საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა, ქალბატონმა **ლია სულუაშვილმა**. განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია ალექსანდრე შერვაშიძის თეატრალური კოსტიუმების თანამედროვე ესკიზებმა, რომლებზეც **ნანა ყორანაშვილმა** და **ლელა ფერაძემ** იმუშავეს. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ასპინძის მუნიციპალიტეტის ანსამბლ „**ვარძისა**“ და ივერიის სკოლასთან არსებული ბავშვთა მუსიკალური ანსამბლ „**ივერიის**“ ხელმძღვანელმა, კომპოზიტორმა **ნუკრი ღორჯომელაძემ**.



ზანია, რომ ისევე საქართველოს ეკლესიამ შეძლოს სრულყოფილად ყველა კუთხეში თავისი მისიის შესრულება. ჩვენ დავდევართ ყველგან, მაგრამ ვერ მივდივართ აფხაზეთში, სამაჩაბლოში. ვახერხებთ ტაო-კლარჯეთში წირვების ჩატარებას, ჰერეთში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ აფხაზეთში და იმედი გვაქვს, რომ ეს მალე იქნება. მისმა უწმინდესობამ, თავის დროზე, ბრძანა – მე ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან, რომ არ ჩავიდე სოხუმში და არ ვნახო გაერთიანებული საქართველო. ჩვენ ეს ცოტა რთულად მოგვეჩვენა, თუმცა, შემდგომ უწმინდესის ბევრი ნათქვამი გამართლდა, მა-

ინყო. გადაუჭარბებლად მინდა გითხრა, რომ იდეა – ახალგაზრდები კიდევ უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ ჩვენი ქვეყნის გაერთიანების საპატიო საქმეში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბატონი გიორგი ვოლსკის წყალობით დაიბადა. დღეს ბატონი გიორგი ჩვენი სტუმარია. მან, ამ იდეასთან ერთად, საოცარი თავისუფლება მოგვცა და გვითხრა: ჩვენ გვჯერა ახალგაზრდების, ჩვენ გვინდა ახალგაზრდების სმა მოვისმინოთ. ამ თავისუფლებამ გარკვეული ფორმა და სახე მიიღო ჩვენს უნივერსიტეტში და ჩამოყალიბდა **აფხაზური ცენტრად „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“**. – აღნიშნა ქალბატონმა მაკამ და სიტყვა მისალმებისთვის გადასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და აფხაზური ცენტრის „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ თანაავტორს **გიორგი ვოლსკის**: მოგესალმებით. სითბოთი და სიყვარულით აავსო მეუფის დალოცვამ ეს დარბაზი. რაც არ უნდა კარგი ინიციატივა გქონდეს, ამას კარგი შემსრულებლები სჭირდება. რექტორი და ყველა, ვინც ამ საკითხზე მუშაობს, განაკუთრებით, ახალგაზრდები, დაინტერესდნენ ამ იდეით და ყველას წინაშე ჩვენ გვაქვს დიდი მადლობა სათქმელი. მივესალმე-

ახალგაზრდები აკეთებენ. ძალიან ბევრმა იცის, რომ ეს ახალგაზრდები არსებობენ. ძალიან ბევრმა იცის, რა განწყობები აქვთ ამ ახალგაზრდებს. ბევრმა იცის, რომ ამ ახალგაზრდებისთვის დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ თაობამ, მათზე ცოტა უფროსებმა, უმცირესებმა, ერთმანეთს თოფის ლულიდან არ შეხედონ, არამედ შეხედონ ლიად და გული გაუხსნან ერთმანეთს. სიყვარულიდან გამომდინარე, დიდი პოლიტიკა კეთდება. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გიორგი შერვაშიძეს, მის ორგანიზაციას, ყველას, ვინც ჩართული იყო ამ სიკეთის კეთებაში. ერთად ვიყოთ და სულ მალე იხილავთ იმ შედეგებს, რასაც თქვენ აკეთებთ. ბევრმა აიტაცა ის იდეა, რასაც ეს უნივერსიტეტი აკეთებს. მინდა ქედი მოვიხარო ყველა სტუდენტის წინაშე. როგორი ლალები და მხიარულები ხართ და ჩვენი ვალაია, ეს ღიმილი სახეზე გქონდეთ მუდამ. იცოდეთ, რომ სახელმწიფო სიძლიერეში თქვენ განსაკუთრებული წვლილი გაქვთ, ახალგაზრდებო. გაუმარჯოს თქვენს ცეკვას, სიმღერას, თქვენს დამოკიდებულებას, თქვენს ღიმილს. გვიყვარხართ და ერთმანეთის სიყვარულით აღვასრულოთ ის, რაც უფლისთვის იქნება სასიამოვნო. დავეთხოთ მშვიდობა და ამ თესვაში რაც შეიძლება მეტი მოსავალი ავიღოთ.

## მეხსეთიდან სოხუმამდე - ნდობისა და ერთობის გზა რეპორტაჟი ალექსანდრე შერვაშიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიებიდან



ღონისძიებას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე** გაუძღვა.

დამსრე საზოგადოება ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, **მეუფე თეოდორემ** დალოცა:

მოგესალმებით ყველას. ჩემთვის დიდი პატივი და სიხარულია თქვენ წინაშე ყოფნა. ჩემთვის განსაკუთრებულია ეს უნივერსიტეტი იმიტომ, რომ მასთან ერთად დავინყე სამცხე-ჯავახეთში მოღვაწეობა. როდესაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ჩამოვედი, საფარის სემინარიამ და ამ უნივერსიტეტმა ერთად დაიწყო ფუნქციონირება ამ მხარეში. საოცარი ერთობა იყო და ეს ერთობა არის დღესაც. ჩვენ შევქმენით გრივოლ ხანძთელის საზოგადოება და ერთად დავინყეთ პირველი ექსპედიციები ტაო-კლარჯეთში, ერთად მოვიხანულეთ, აღვწერეთ ეს ძეგლები და რამდენიმე წინიც გამოიცა ამასთან დაკავშირებით. ტაო-კლარჯეთიც, საქართველოს ყველა კუთხე, განსაკუთრებით, აფხაზეთი, სამაჩაბლო, ჰერეთი – ეს ჩვენი კუთხეებია და ჩვენს მესხიერებაში მუდამ უნდა იყოს. საქართველოს ეკლესია აერთიანებს ყველა კუთხეს. ჩვენი ეპარქიები მოიცავს როგორც ტაო-კლარჯეთს, ისე ჰერეთს, აფხაზეთს, სამაჩაბლოს და ყველა იმ მიწას, სადაც ოდითგან წირვა-ლოცვა ქართულად აღესრულებოდა. ჩვენი მი-

გალითად, როგორც იყო სამების აშენება. მახსოვს, ვიდექით დიდ ორმოში და პარაკლისებს ისე ვიხდით. მაშინ დიდი გაჭირვება იყო, პატარა კელიას ვერ ააშენებდი მონასტერში და იმ გაჭირვებაში აშენდა ეს უმშვენიერესი ტაძარი. მე დარწმუნებული ვარ, რომ უწმინდესის სიკაცობაში ჩვენ აუცილებლად შევალთ აფხაზეთში და აუცილებლად აღვავლეთ იქ წირვა-ლოცვას.

ჩვენ დავგიბრუნებდით არა მხოლოდ ტერიტორია, არამედ დავგიბრუნებდით ის ხალხი, რომლებიც იქ ცხოვრობენ. მთავარი ტერიტორია არ არის, მთავარია, აღვადგინოთ ურთიერთობა, მეგობრობა, ერთობა. დარწმუნებული ვარ, თითოეული ჩვენგანი შევიტანთ წვლილს, რომ ქრისტეს ერთობა აღდგეს.

დაგლოცავთ ყველას, განსაკუთრებით მინდა დავლოცო აფხაზეთის მთავრობა, რომელიც აქ არის წარმოდგენილი. შევთხოვ უფალს, პირველ რიგში, მშვიდობას, ჩვენი ქვეყნის ერთობას, ჩვენი ხალხის ერთსულოვნებას. მინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი. მშვიდობა და კეთილდღეობა ვუსურვო თითოეული თქვენგანის ოჯახს. ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა გააძლიეროთ.

აფხაზური ცენტრის გახსნის იდეის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას მიაწოდა უნივერსიტეტის რექტორმა: **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზური ცენტრის გახსნის იდეა ერთი შეხვედრით და-**

ბი ყველა სტუმარს. აქ არის აფხაზეთის მთავრობა, სახალხო დამცველი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ეს არის დიდი პატივი, რომ თქვენთან ვართ. ერთობაშიაში დიდი ხანია გრძელდება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ უნივერსიტეტს ეს არ მოაკლდება, რადგან ტრადიცია მოდის აქ ასეთი. ამავე დროს, არსებობს კიდევ ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც ჩვენ გვაქვს – ახალგაზრდები სიყვარულის მთესველ ადამიანებად გაიზრდებიან, შეავსებენ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების სტრუქტურებს, სხვადასხვა მიმართულებით გადაინაწილებიან და იმ სიკეთის თესვას, რაც შეისწავლეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გაავრცელებენ სხვადასხვა მიმართულებით. არსებობს კიდევ ერთი პრაქტიკული გამოყენებითი მნიშვნელობა იმისა, რასაც ეს

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე **გიორგი ჯინჭარაძე** მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო. ჩემთვის დიდი პატივია, ვიმყოფებოდე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დავესწრო განსაკუთრებულ ღონისძიებას. მოგილოცავთ დამდეგ შობა-ახალწელს. დაე, ღმერთმა ინებოს, ჩვენს ალექსანდრე შერვაშიძისთვის და, ზოგადად, აფხაზეთის მთავრობისთვის. ამიტომ, ყველა ის ინიციატივა, რომელსაც ეს ცენტრი ახორციელებს, ჩვენთვის განსაკუთრებით დასაფასებელია. მომდევნო წელს, 2026 წელს, აფხაზეთის მთავრობა აქტიურად იქნება ყველა იმ ინიციატივაში ჩართული, რომელიც მშვიდობის ღონისძიებებს და პროექტებს მოემსახურება, რა თქმა უნდა, სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩოში. რაც შეეხება ამ ღონისძიებას, ალექსანდრე შერვაშიძის წიგნის პრეზენტაციას რომ ეხება, ძალიან დასაფასებელია. მადლობა ბატონ გიორგი ვოლსკის, ბატონ გიორგი შერვაშიძის, თქვენ, ქალბატონო მაკა, რომ ეს ცენტრი ასე პროდუქტიულად მუშაობს. თქვენ ხართ მაგალითი სხვა უნივერსიტეტებისთვის, რომ შექმნან მსგავსი მიმართულების ცენტრები. აფხაზეთის მთავრობა ყოველთვის იქნება თქვენ გვერდით.

აფხაზეთის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი **დავით ფაცაცია**:

მინდა, ყველას მოგესალმოთ, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთ-





თის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ქალბატონ მაკა ბერიძეს, უნივერსიტეტის დამფუძნებელს, თანამედროვე ივანე ჯავახიშვილს, ბატონ მერაბ ბერიძეს, მივესალმები მეუფე თეოდორეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ ტერიტორიაზე ქართული სამონასტრო ცხოვრების აღდგენა, ქართული საეკლესიო ნირვა-ლოცვის აღდგენა და ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია სრულიად საქართველოს ერთიანობისა და განმტკიცების კუთხით. მინდა, მივესალმო საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერს, ბატონ გიორგი ვოლსკის, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს, სახალხო დამცველს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ძალიან წარმომადგენლობითია დღევანდელი ღონისძიება. ყველა თქვენგანს მადლობას ვუხდით ყველაფრისთვის. აფხაზეთი ცენტრის გახსნა არის ხელშეწყობილი მოქმედება, რომელსაც ჰქვია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის შრომა, ზრუნვა, მოქმედება. ამ ცენტრის საქმიანობას ძალიან ბევრი აფხაზეთელი ხედავს და უყურებს და ყოველი სიყვარულის გამოძახილი აცოცხლებს იმ იდეას, რომელსაც ქვეყნის გაერთიანება ჰქვია. დღეს, როგორც არასდროს, შეიძლება ითქვას, ძალიან ახლოს ვართ იმ პროცესთან, რომელსაც ქვეყნის გაერთიანება ჰქვია. ნდობის, სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის საფუძველზე უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი და ჩვენი თანაცხოვრება უნდა იყოს ნდობაზე, სიყვარულზე და ურთიერთპატივისცემაზე აგებული.

ერთხელ კიდევ ხაზს გავუსვამ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებულ საქმეს, რომელმაც მაგალითი მისცა სხვა უნივერსიტეტებს. სიკეთე და ეს იდეა, რომელიც წლებია გენერირებს ამ უნივერსიტეტში, მომნიშვნელოვანია სხვა უნივერსიტეტებშიც. არ გაჩერდეთ, გავაგრძელოთ ერთად ეს დიდი საქმე. გვჯერა, რომ კიდევ უფრო მეტი ენერჯით მოხერხდება განვითარება ყველა იმ პროცესის, რომელსაც უნივერსიტეტის განმტკიცება, საქართველოს გაძლიერება და ქართული იდეის გაძლიერება ჰქვია. იდეამ, რომელიც აქ დაიბადა 35 წლის წინ, დღევანდლამდე მოიტანა არაერთი თაობის აღზრდა. წარმატებებს გისურვებთ კიდევ და კიდევ.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი გიორგი ძაძაძია:**

მოგესალმებით. ჩემთვის დიდი პატივია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის რანგში ვიმყოფებოდე აქ. დიდი სიამოვნებით დავთანხმდით მოპატიჟებას და მომხალისეობა, ნებისური მსგავსი ტიპის ღონისძიებაში, ჩვენი მიმართულებით, ვიქნებით აქტიურად ჩართული. მე გავეცანი დღის ნესტოებს და ვნახე, რომ ღონისძიებაზე იქნება ალექსანდრე შერვაშიძის შემოქმედების მოტივებზე დამზადებული ესკიზები. ჩვენ საჩუქრად მოვიტანეთ რამდენიმე წიგნი, რომლებიც მიმდინარე წელს გამოიცა და ვფიქრობთ, ეს იქნება დამატებითი ინსპირაცია ახალი ღონისძიებებისათვის. მადლობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მართლაც, ნაბიჯ-ნაბიჯ მივუახლოვდებით ჩვენს მიზანს.

**სახალხო დამცველი ლევან იოსელიანი:**

მოგესალმებით და მადლობას მოგახსენებთ მონაწილეობისთვის. ერთხელ მქონდა საშუალება, საჯარო ლექციის ფარგლებში, ჩამოვსულიყავი ამ უნივერსიტეტ-

ში და მაშინ შევიტყე აფხაზეთი ცენტრის შესახებ. ეს დიდი მოვლენაა, ვინაიდან იმ თაობისთვის, ვისაც არ ჰქონია საშუალება, მონახულებინა აფხაზეთი, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ აფხაზეთის ირგვლივ, აფხაზეთის შესახებ ჰქონდეთ ინფორმაცია. ეს ღონისძიებაც, ამ თვალსაზრისით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. მივესალმები ყველა ჩამობრძანებულ სტუმარს, მეუფე თეოდორეს, რომელმაც დიდი ღვაწლი გაწია იმისთვის, რომ ამ კუთხეში სულიერება, სარწმუნოება განვითარებულიყო და მეტი ადამიანი ყოფილიყო ეკლესიის წიაღში. ამავე დროს, სამცხე-ჯავახეთი არის კუთხე, რომელიც გამორჩეულია თავისი ტოლერანტობით და ამ განსხვავებულ კუთხეში, მოახერხეს განსხვავებული კულტურის, აღმსარებლობის, რელიგიის ადამიანებმა მშვიდობიანი თანაცხოვრება. სამცხე-ჯავახეთი არის მაგალითი, როგორც რეგიონი, თუ როგორი შეიძლება იყოს ტოლერანტობა. ამდენი განსხვავებული ეთნოსი ცხოვრობს და ყველა ცხოვრობს მშვიდობიანად; ეს სწორედ ჩვენი ქვეყნის უძველესი კულტურისა და ჩვენი დიდი

ცენტრი. აქ სტუდენტები ფიქრობენ საქართველოს მომავალზე, საქართველოს გაერთიანებისთვის და დგამენ ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯებს. ეს ყველაფერი ეხმარება ჩვენი ქვეყნის და, პირადად, ჩვენი უწყების სახელმწიფო პოლიტიკას შერიგებისა და ჩართულობის მიმართულებით. ამ პოლიტიკაში მონაწილეობს უკლებლად ყველა სახელმწიფო უწყება. ის, რომ ახალგაზრდებმა აქედან მშვიდობის ჯილდო დაიმსახურეს, ესეც ბუნებრივია. ყველა უწყება შრომობს იმისთვის, რომ დაჩქარდეს ის პროცესი, რომელიც ჩვენი ქვეყნის გაერთიანებას უყრის საფუძველს. ყველაზე მთავარი არის ის, რაც ბატონმა გიორგი ვოლსკიმ ბრძანა და აბსოლუტურად ვეთანხმები, რომ ყველა ჩვენი სამშვიდობო მისია და ყველა აქტიურობა არ არის შეუმჩნეველი. აქ არის თაობა, რომლებმაც გამოიარეს, იცხოვრეს აფხაზეთში აფხაზეთთან ერთად. ყველაზე მთავარია ის, რომ ახალგაზრდობა ზრდის აქტივობას და ჩართულობას ამ პროცესებში. ძალიან რთული პროცესია, რომელიც ჩქარდება ასეთი გონივრული ნაბიჯების წყალობით და, უპირველესად,



წარსულზე და მომავალზე; ეს არ უნდა დავკარგოთ. ბათუმის უნივერსიტეტი მზად არის, გადმოიბაროს ესტაფეტა, ჩაერთოს ამ სამშვიდობო პროცესში. გისურვებთ წარმატებებს.

**ორგანიზაციის – „ერთობა ხვალისთვის“ ხელმძღვანელი გიორგი შერვაშიძე:**

მოგესალმებით. ბედნიერი ვარ, რომ ეს ცენტრი, ეს უნივერსიტეტი, ეს ჩართული საზოგადოება სწორად აფასებს სიტუაციას, რომ ჩვენ – ქართველები და აფხაზეთი, მიუხედავად დღე-

ით და ერთად გავასწროთ ყველა ენგურისკენ და სოხუმისკენ. ახალგაზრდების ჩართულობაში წინ ხართ, ჩვენგან განსხვავებით, და ბევრს ვისწავლით ამ მიმართულებით თქვენგან. ჩვენ გვყავს შესანიშნავი სტუდენტები, ისინი, მართლაც, ისწრაფიან ენგურისკენ, სოხუმისკენ. ცენტრალური ხელისუფლება ყველაფერში გვეხმარება და ასეთი მხარდაჭერის პირობებში, მართლაც, მალე სოხუმში შევხვდებით ერთმანეთს. წარმატებები მინდა ვუსურვო ამ უნივერსიტეტს.

**სამცხე-ჯავახეთის მხარის რწმუნებული ზაალ გელაშვილი:**

მივესალმები მობრძანებულ სტუმრებს, მივესალმები მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მეუფე თეოდორეს, ბატონ გიორგი ვოლსკის, სახალხო დამცველს ბატონ ლევან იოსელიანს. აფხაზეთის მთავრობას. მე, როგორც სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ამაყი ვარ, რომ ეს შეხვედრა იმართება აქ, ჩვენს რეგიონში, რეგიონში, რომელიც არის გამორჩეული იმით, რომ აქედან იწყება ნაწილობრივ საქართველოს ისტორიული, კულტურული ცხოვრება, ქართველური ტომების წარმოშობაც კი. მივესალმები იმას, რომ დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ ინიციატივას, რომ გაუფხვანონ მშვიდობის მესიჯები ჩვენს აფხაზეთთანამდამულეებს, ენგურს იქით მყოფ აფხაზეთის მოსახლეობას. სწორედ, ეს არის ზრუნვა ჩვენთვის მესიჯებით და განვილი ხელით. თუ ჩვენ, უფროსმა თაობამ, ორივე მხარეს დაუშვით შეცდომები, რამაც გამოიწვია ამ ულამაზესი კუთხის ჩამოშორება, ჩვენ არ უნდა მივცეთ საფუძველი ჩვენი ახალგაზრდა თაობას, კვლავ დაუშვან ეს შეცდომა. დავრწმუნდით ჩვენ, რომ ძალისმიერი მეთოდებით პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია, მითუმეტეს იმ ხალხთან, რომლებთანაც ჩვენ გვაკავშირებს საუკუნებრივი მეგობრობა, საერთო ცხოვრების წესი, საერთო კულტურა. მინდა, ჩვენს ახალგაზრდებს ვუსურვო, რომ გააგრძელონ ასეთი სიყვარულით სავსე მესიჯების წერა, სიყვარულით სავსე მოქმედებების განხორციელება, რათა დაინახონ ენგურს იქით, რომ ჩვენი მიმართულებით ვართ მხოლოდ სიყვარულისათვის. ის ტკივილი, რაც გვაქვს, მოშუშებადია და მინდა გისურ-



ტრადიციის დამსახურებაა. მე ძალიან ვაფასებ იმ ინიციატივას, რაც ამ უნივერსიტეტში დაიწყო და იმედი მაქვს, რომ სხვა უნივერსიტეტებშიც გადაიღებენ ამ მაგალითს. ჩვენ გვახოვს აფხაზეთი, ჩვენს თაობას ჰქონდა შესაძლებლობა, აფხაზეთში დასასვენებლად ჩავსულიყავით, მაგრამ ის ახალგაზრდები, რომლებიც ჯერ არ ყოფილან აფხაზეთში, მეტი უნდა გაიგონ აფხაზეთის, მისი კულტურის, ცხრა-ზური ენის შესახებ, მისი ცხოვრების წესის შესახებ, რომელიც ნამდვილად საამაყოა. მეუფე თეოდორეს ნათქვამია აბსოლუტურად ვიზიარებ და იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის სიცოცხლის პერიოდში დავბრუნდებით აფხაზეთში და დავბრუნდებით აფხაზეთთან, პირველ რიგში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ადამიანები, რომლებიც იქ ცხოვრობენ და უნდა ვნახოთ მათთან მისასვლელი გზები.

იმის წყალობით, რომ ამ მულტიკულტურულ საინტერესო მხარეში, საუნივერსიტეტო სივრცეში, თქვენ ფიქრობთ საქართველოს მომავალზე. ეს ყველაფერი არ არის აუხდენელი ოცნება. ეს ყველაფერი მალე მოხდება ჭკუით, სიბრძნით. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ქვეყანა.

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნატალია ლაზა:**

მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო. დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ღონისძიების ორგანიზატორებს ჩემი მონაწილეობისთვის, იმისთვის, რომ ამ პროცესში ვარ ჩართული, რაც ძალიან მახარებს. უნდა ვთქვათ, რომ სამი წელი თავისი დახარჯული ენერჯით, თავისი შინაარსით, თავისი პასუხისმგებლობით – ეს უკვე ისტორიაა, ისტორია, რომელსაც წერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი ყოველთვის იყო ცოდნის გენერირების კერა, მაგრამ ცოდნა ღირებულებების გარეშე არის მშრალი ინფორმაცია, რომელიც არაფერია. დღეს, ტექნოლოგიური ეპოქის პერიოდში, ინფორმაცია აღარფერია, ღირებულება არის უპირველეს ყოვლისა. მინდა, ვუსურვო ახალგაზრდულ ცენტრს გააგრძელოს თავისი საქმიანობა, პროექტების წერა, ამასთან ერთად, ის მნიშვნელოვანი ხაზი, რომელიც გადის აკადემიურობაზე და ადამიანობაზე, გადის ცოდნაზე,

ვანდელი სიტუაციისა, განუყოფელი ვართ. ამ ცენტრს და მის ნევრებს, სწორად მიტანილი მესიჯებისთვის, მადლობა მინდა ვუთხრა. დღეს, ხვალი, ზევ ბევრი შეხვედრა მოეწყობა უშუალოდ ენგურს იქით მცხოვრებ ახალგაზრდებთან. პირობას გაძღვევთ, რომ თოფის სამიზნედან არასოდეს შევხვდებით ერთმანეთს, ჩვენ ვიმეგობრებთ. მე, როგორც აფხაზი, ბედნიერი ვარ, რომ დღეს გითხრათ მადლობა იმ სიყვარულისთვის, რასაც ეს ახალგაზრდები გვიზიარებენ.

**სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი თეა ჯუღელი:**

მოგესალმებით ყველას. უღრმესი მადლობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამ ღონისძიების ორგანიზებისათვის. ეს უნივერსიტეტი გვეჯობის სოხუმის უნივერსიტეტს ამ აქტივობებში. ვეცდებით, დაგენი-

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის აპარატის წარმომადგენელი შოთა რეხვიაშვილი:**

მოგესალმებით. მივესალმები რეგიონის ძალიან ძლიერ საგანმანათლებლო კერას. მივესალმები ჩამობრძანებულ სტუმრებს. გიდასტურებთ დიდ პატივისცემას და მადლობას გწირავთ იმისათვის, რომ მაქვს პატივი ამ ღვაწლში ღონისძიებაზე დასწრების და მონაწილეობის მიღების. ჩემთვის სასიხარულოა, რომ აქ, უნივერსიტეტში, არის აფხაზეთი

**გაგრძელება მე-4 გვ.**





მე-3 გვერდიდან

ვით, რომ მალე დამდგარიყოს ის დღე, როდესაც ჩვენ შეგვეძლება სოხუმში ჩასვლა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე: მოგესალმებით. გილოცავთ დღევანდელ დღეს. დარწმუნებული ვარ, რომ დღეს სასიამოვნო შეხვედრა გექნება. თითქოს განყვეტილი იყო სსოვნა აფხაზეთისა ჩვენს უნივერსიტეტში. უფროსი თაობა სხვაგან იყო შეშინებული. ახალგაზრდობამ არაფერი იცოდა, მაგრამ ახალგაზრდულმა ცენტრმა იმდენი მოახერხა, როგორც ამ პატარა შეხვედრიდანაც ვრწმუნდებით, ერთგვარი ლიდერის ამბულუაშიც გამოდიან ჩვენი სტუდენტები. ეს არის პასუხი იმაზე, თუ რატომ ახალციხეში, რა უნდა ახალციხელ სტუდენტებს აქედან საკმაოდ მოშირებულ აფხაზეთთან?! ამაზე ხშირად მისაუბრია და მინდა კიდევ ერთ ფაქტზე გავამახვილო თქვენი ყურადღება. აფხაზეთიდან და მესხეთიდან დაიწყო საქართველოს გაერთიანება. თუ მესხეთი და აფხაზეთი ძლიერი იქნება, ძლიერი იქნება საქართველო. ეს ყველას ინტერესებშია - აფხაზისაც, ქართველისაც. ღმერთმა დღევანდელი დღე მრავალ დღედ აქციოს, ღმერთმა წარმატება მისცეს ჩვენს სტუდენტებს და საერთო იდეას. მშვიდობა არის ყველაფრის თავი და თავი. მშვიდობით, ურთიერთპატივისცემით, დიდი ტოლერანტობით, რომლითაც ცნობილია საქართველო და მესხეთი, ყველაფერი შეიძლება გაკეთდეს ისე, როგორც ეს საჭიროა.

აფხაზური ცენტრის ხელმძღვანელი რიმა სუდაძე: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი აფხაზური ცენტრი „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ დაფუძნდა 2022 წლის 26 დეკემბერს, ა.ა.(ი).პ ქართველთა და აფხაზთა ერთობის საზოგადოების „ერთობა სვალისთვის“ და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით. ცენტრის შექმნის მიზანი თავიდანვე მკაფიოდ განისაზღვრა - ხელი შეეწყოს ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების დაახლოებას, ურთიერთობის ადგილსა, დიალოგის კულტურის განვითარებასა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას.

აფხაზური ცენტრის ოფიციალური გახსნა გაიმართა 2022 წლის 26 დეკემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2023 წელს ცენტრის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ჩამოყალიბდა ღონისძიებების მიხედვით, რომლებიც შემდგომ წლებში ცენტრის მუდმივ და ტრადიციულ აქტივობად იქცა. კვირეულების ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, აკადემიური წრეები, სტუდენტები, სახელმწიფო უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების

# მეხსიერებიდან სოხუმამდე - ნდობისა და ერთობის გზა



წარმომადგენლები. აღნიშნულმა ფორმატმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აფხაზეთის თემატიკის გააზრებას აკადემიურ სივრცეში. 2023 წლიდან დაიწყო აფხაზური ენის შემსწავლელი კურსები, რომლებიც რეგულარულად ტარდება და ღია არა მხოლოდ ცენტრის წევრებისთვის, არამედ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის. ცენტრი აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო საზაფხულო სკოლის „მეცნიერების თანამედროვე სტანდარტები - აფხაზეთის შემსწავლელი კვლევების გამოწვევები და პერსპექტივები“ ორგანიზებაში, რომელიც აერთიანებდა ქართველ და აფხაზ მკვლევრებს, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს. ასევე, ჩატარდა თემატური პრეზენტაციები აფხაზურ კულტურაზე, ისტორიასა და ლიტერატურაზე, ინტერაქტიული დისკუსიების ფორმატით. ცენტრის საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს

კულტურულ დიალოგს, როგორც ნდობის ადგილის პირველ საფეხურს. კულტურულ ღონისძიებებში აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც სტუდენტები, ისე ადგილობრივი საზოგადოება, რაც ზრდიდა ცენტრის საზოგადოებრივ გავლენას. ცენტრმა დაწერა ინოვაციური ახალგაზრდული ფორმატები: „იდეათა კაფე“ - მშვიდობის, ერთობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის თემაზე; „დიალოგის სახელოსნო“ - კონსტრუქციული კომუნიკაციისა და მოსმენის კულტურის გასაძლიერებლად; დებატები თემაზე: „ახალგაზრდებს შეუძლიათ გადართულ-აფხაზური ურთიერთობების გაუმჯობესებაში“. ცენტრი მონაწილეობდა რეგიონულ და ეროვნულ სემინარებსა და ტრენინგებში, მათ შორის, პროექტში „ახალგაზრდული ინიციატივა მშვიდობის მშენებლობისთვის“. ცენტრის საქმიანობა შეფასდა სახელმწიფო დონეზეც. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი აფხაზური ცენტრი „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ გახდა გამარჯვებული კონკურსში „სახელმწიფო მინისტრის აპარატის

„მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ ჩამოყალიბდა სტაბილური, შინაარსობრივად მდიდარი და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პლატფორმა, რომელიც აერთიანებს განათლებას, კულტურას, დიალოგსა და ახალგაზრდულ ლიდერობას. ცენტრის მიერ განხორციელებული მუდმივი აქტივობები - „აფხაზეთის“ კვირეულები, აფხაზური ენის სწავლება, კულტურული და აკადემიური ღონისძიებები ადასტურებს მის მდგრადობას და განვითარების პოტენციალს. ცენტრი მომავალშიც გააგრძელებს საქმიანობას იმავე ღირებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც მის დაარსებას დაედო საფუძვლად: ნდობა, დიალოგი, სიყვარული, ერთობა და მშვიდობა. დამსწრე საზოგადოების წინაშე, აფხაზური ცენტრის ხელმძღვანელის, რიმა სუდაძის ალსაზრდელებიც გამოვიდნენ. რიმა სუდაძის მოსწავლეებმა ლექსებით ააგეს ხიდი, რომელმაც დარბაზში მყოფთა ფიქრები აფხაზეთს დაუკავშირა. ღონისძიების კულმინაციად იქცა თეატრალური პერფორმანსი „ბედი აფხაზი ხელოვანისა“. სტუდენტებმა ალექსანდრე შერვაშიძის შემოქმედებითი გზა გააცოცხლეს და მისი ესკიზების

მოიპოვა, თუმცა, დიპლომის ადგება ვეღარ მოასწრო; ერთ თვეში ის სამშობლოს ერთიანობისთვის ბრძოლას შეენირა. „რამ გაყო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტყივილი?“ - ისმოდა სცენიდან სტუდენტების კითხვა. მათ სცენაზე გმირის მამა, სოფელ უდის საჯარო სკოლის მასწავლებელი, გურამ ბალახაშვილი მიიწვიეს. სტუდენტების კითხვაზე - რამდენად სწორია მათი სამშვიდობო გზაზე წინადადება, მამის პასუხი იყო დასტური იმისა, რომ მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია.

გურამ ბალახაშვილი: მოგესალმებით. მინდა მივესალმო ჩვენს სტუმრებს. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონ მაკას და სტუდენტებს, იმ მომავალ თაობას, რომლის მხრებზეც ვვალდებულნი ვართ. ამაყი ვარ, მაგრამ უფრო ამაყი ვიქნები, დღეს აფხაზეთსა და ცხინვალში ქართული დროშა რომ ფრიალებდეს. ბატონმა გიორგი ვოლსკიმ სწორად თქვა, რომ დღეს იარაღის გამოყენება არ შეიძლება. შეიძლება ცუდად გამოგოს ვინმე, მაგრამ მიორჩენია, არ იყოს აფხაზეთი და ცხინვალის საქართველოს ტერიტორია, თუ ისევე ახალგაზრდა ბიჭები უნდა შენერონ ომს. დაე, ომით კი არა, ასეთი ცეკვა-თამაშით გვენახოს გაერთიანებული, გაბრწყინებული საქართველო. ღმერთმა ქნას, რომ მალე სოხუმში გვენახოს თქვენი თავი. დიდი მადლობა, ქალბატონო მაკა, იმ სიყვარულისთვის, რასაც თქვენ იჩენთ. უნივერსიტეტის მუზეუმში ერთი პატარა კუთხე გამოიყო ამ გმირი ბიჭის. ამისთვის დიდი მადლობა. მინდა, მომავალ თაობას უდრუბლო ზეცა ჰქონდეთ. ღმერთმა ქნას, რომ თქვენი შვილებისთვის გეთქვათ, 21-ე საუკუნეში გმირები გვყოლიათ.



მშვიდობის ჯილდო ახალგაზრდებისთვის“ ნომინაციაში - „საუკეთესო სამშვიდობო იდეა“, რის შედეგადაც ცენტრის წევრები იმყოფებოდნენ სტრასბურგში „მსოფლიო დემოკრტიის ფორუმზე“. ასევე, ცენტრმა გაიმარჯვა ახალგაზრდობის სააგენტოს მცირე საგრანტო კონკურსში, რის შედეგადაც დაიწყო ახალგაზრდული სამშვიდობო კონცეფციის განხორციელების პროცესი. იგი მიზნად ისახავს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გაღრმავებას, დიალოგის ხელშეწყობასა და ნდობის ადგილსა ახალგაზრდებს შორის. კონცეფცია მოიცავს ინოვაციურ ღონისძიებებს, ინტერაქტიულ შეხვედრებს, თემატურ ფორუმებსა და საგანმანათლებლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება მშვიდობის, კულტურული მრავალფეროვნების აღიარებისა და პარტნიორული თანამშრომლობის განვითარებას. სამწლიანი საქმიანობის განმავლობაში აფხაზურმა ცენტრმა

მიხედვით შექმნილი კოსტიუმები წარმოადგინეს. „სამი წელია, რაც არსებობს აფხაზური ცენტრი „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“. სამი წელია, უცვლელია ჩვენი მთავარი სათქმელი: ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში მშვიდობას ალტერნატივა არ აქვს. ვეკითხებით ჩვენზე გამოცდილ, ჩვენზე განათლებულ ადამიანებს. ფასდაუდებელია იმ ადამიანების მოსაზრებები, რომელთაც ომის საშიშროება საკუთარ თავზე აქვთ გამოცდილი“. - ამ სიტყვებით გაიხსნა თეატრალური დადგმა, რომელიც ღონისძიების ერთ-ერთ ყველაზე მძიმე და, ამავდროულად, ამბულუბრულ მომენტს, 2008 წლის აგვისტოს ომის გმირის, არტემ ბალახაშვილის ხსენებას დაუკავშირდა. უნივერსიტეტის მუზეუმში ინახება ექსპონატი, რომელიც ყველაზე მრავლისმთქმელად ჰყვება შეწყვეტილი სიცოცხლის ისტორიას - ეს არის არტემის გადაშლილი დიპლომი. მან ბიზნესის მართვის ბაკალავრის ხარისხი 2008 წლის ივლისში

დარბაზში მქუხარე ოვაციები დიდხანს არ წყდებოდა... ეს იყო საღამო, სადაც ხელოვნებამ და მშვიდობის სურვილმა ერთმანეთი იპოვა. სტუდენტებმა სცენაზე საოცარი ოსტატობით გააცოცხლეს ალექსანდრე შერვაშიძის უკვდავი შემოქმედება. თუმცა, ეს მხოლოდ წარმოდგენა არ ყოფილა. ეს იყო ხმამაღალი განაცხადი: „დღევანდელი დღე ჩვენი მცდელობაა, რომ მომავალმა თაობამ მტრობის ნაცვლად - მშვიდობა, სოლო დაპირისპირების ნაცვლად ურთიერთგაგება აირჩიოს. ჩვენ არ ვუყურებთ სამყაროს ვარდისფერი სათვალის და კარგად გვესმის არსებული რეალობის სირთულე, თუმცა გვენამს, რომ აფხაზური ცენტრი უფრო მეტია, ვიდრე ორგანიზაცია - ეს არის იდეა, რომელიც ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს ქვეყნის გაერთიანებისკენ მიმავალ გზაზე აერთიანებს. ჩვენს ცენტრში ახლა ნდობის პირველი მარცვლები იღვიძებს. ეს რთული, მაგრამ ერთადერთი სწორი გზაა“. საღამო დასრულდა სიტყვებით, რომელიც დამსწრეთა გულეში დარჩა: „სისხლი სისხლში არ იბანება! ვეძებთ მშვიდობა!“

ლიკა ზაზაშვილი



პირველი გვერდიდან

სკოლის მოსწავლემ, რომელიც ოცნებობს სტუდენტობაზე, ზუსტად იცის, რომ აუცილებლად ფილოლოგი უნდა გახდეს, რადგან მას არაჩვეულებრივი მასწავლებლები ჰყავდა და სკოლაში. აი, ამ მოცემულობით ერთი სული მაქვს, რომ გახსნილი უნივერსიტეტი ვნახო და მგონია, რომ სადაც ზღაპრულ სამყაროში უნდა შევავიჯო. როდესაც უნივერსიტეტის პირველი მიღება გამოცხადდა, სკოლიდან გამოვიპარეთ მთელი ჯგუფი, მოვედით, რომ საკუთარი თვალთ გვენახა ჩვენთვის ძალიან საოცნებო ადამიანები, პროფესორ-მასწავლებლები. სტუდენტები, რომლებსაც თეთრი შუთრით გვპაუზებდა.

ასე მახსენდება უნივერსიტეტის გახსნა. პირადად ჩემი, როგორც სტუდენტის შემოხვევა უნივერსიტეტში განსაკუთრებული იყო. მაშინ უშუალოდ უნივერსიტეტში უნდა დაგვეწერა განცხადება იმის თაობაზე, თუ რომელ პროგრამაზე გსურდა ჩაგებარებინა. შემოვედი უნივერსიტეტში, პირველი კორპუსის ფოიეში. გარეთ იდგა მერხები. დღეს რომ სერგო მელიქიძის სახელობის აუდიტორია ჰქვია, იქ იყო მიმღები კომისია. იყო 3 სპეციალობა: ისტორია, ქართული ფილოლოგია და ეკონომიკა. თითოეულ სპეციალობაზე ცალკე მიმღები მდივანი იჯდა. მივედი იქ, სადაც ქართული ფილოლოგია ეწერა. გამომიწოდეს განცხადება, რომელიც უნდა შემეგვსო. გამოვიტანე განცხადება. დავეჯექი ფოიეში. მიჭირავს კალამი და ვინაობა წერას. იცით, ფილოლოგობა სულითა და გულით მინდოდა. რაღაცნაირად სიტყვას ვეჯიბებოდი. ხშირად ვწერდი. თავისუფალი თემების წერაც გამომდიოდა, თხზულებებს კარგად ვწერდი. ჩემ წინაშე იდო ფურცელი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ძალიან მარტივად დავწერდი განცხადებას უნივერსიტეტის ფილიალის დირექტორის, ბატონი მერაბის სახელზე. მოკლედ, დავუშვი შეცდომა. ხან ბატონი მერაბის სახელი და გვარი ვერ დავწერე სწორად, ხან, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი საკუთარი მისამართი შემეშალა, ხან განცხადებაში ასო გამომრჩა. მოკლედ, სამჯერ შევიღებ და მას სოფს, გამოიარა ერთმა ადამიანმა და თქვა: ამან უნივერსიტეტში როგორ უნდა ჩააბაროს, განცხადების წერა არ იცისო. მე კი ხელი მიკანკალავდა. ისეთ ემოციაში ვიყავი, ვერ წარმოვიდგინა, რომ ახლა ვავსებდი განცხადებას და მინდოდა სტუდენტი გავმხდარიყავი. შემოვდიოდი, როგორც წელან ვთქვი, არამქვეყნიურ, ჩემთვის არარეალურ სამყაროში. სხვათა შორის, როგორც კი ასეთი შენიშვნა გავიგე, მაშინვე ყველაფერი სწორად დავწერე, მაგრამ მაშინ 16 წლის ვიყავი და ძალიან დამწყდა გული ამ ნათქვამის გამო. და ამ დღიდან დღემდე ისტორია.

მე რომ მკითხონ, შემიძლია გავისხენო ყველა ლექცია, ადამიანები, მთელი ეპოქა, სულისკვეთება. ერთი სიტყვით, უნივერსიტეტის გახსნა მახსენდება, როგორც ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი. გადწვევით, რომელიც მაშინ მივიღე – ჩამებარებინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმ-

ნიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში, ჩემს ცხოვრებაში მიღებულ ყველაზე სწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნია. ყველაფერი თუ თავიდან დაიწყება, ჩემს ცხოვრებაში არაფერს შევცვლი; ისევე ისე მოვიდოდი ამავე უნივერსიტეტში და იმაზეც თანახმა ვარ, სამი ფურცელი გავაუქმო განცხადების წერისას, მივიღო შენიშვნა, გამოვასწორო და გავხდე უნივერსიტეტის სტუდენტი.

**ქალბატონო მაკა, თქვენი აზრით, როგორ შეიცვალა სტუდენტობა ამ 35 წლის განმავლობაში და რა დარჩა უცვლელი?**

– მარტივი არაა, შეაფასო, როგორ შეიცვალა 35 წლის განმავლობაში სტუდენტობა, თუმცა, ზოგად ტენდენციებზე შეიძლება ვისაუბროთ. სტუდენტობა ადამიანის ცხოვრებაში გამორჩეული ხანაა მაშინაც კი, თუ ის ქვეყნის განვითარების უმძიმეს წლებს, ომებს, უშუქობას, შიმშილობას, სულიერსა თუ ეკონომიკურ კრიზისს ეხება. მაინც, თავის ხიბლი აქვს სტუდენტობას. ამის მაგალითი პირადად ჩემი სტუდენტობაა,

ბას და ყველაზე მთავარი ის არის, რომ აუდიტორიისა და კონკრეტული პროგრამის მიღება თავად ქმნის აბსოლუტურად სხვა რეალობას და სივრცეს, რომელსაც სტუდენტური ცხოვრება ჰქვია. მოგხსენებათ, რომ სტუდენტობა არ ნიშნავს მხოლოდ აუდიტორიაში ჩატარებულ ლექციებსა და სემინარებს. სტუდენტობა, ერთდროულად, გახლავთ ურთიერთობები, თავად დაგემილი ახალგაზრდული ღონისძიებები, სოციალური აქტიურობა და ასე შემდეგ. სხვა მხრივ მე მინდა გითხრა, რომ მთავარი ხაზი არ შეცვლილა. ახალგაზრდები კვლავ ისეთივე სუფთა მზერით გამოირჩევიან, როგორც ეს იყო 35 წლის განმავლობაში. თუ კი რაიმე ისე არ გამოდის, მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს უფროსების ბრალია. ისევე ის ნიჭი აქვთ, ისევე ის მონდომება, საოცარი სიყვარული ერთმანეთსა და ქვეყნის მიმართ...

მთელი ამ 35 წლის განმავლობაში, ჯერ – როგორც სტუდენტი, შემდეგ – როგორც პედაგოგი, ვგრძობ, რომ თუ კი

ციას, განსხვავებულ ინტერესს, განსხვავებულ სპეციალობას. ამ განსხვავებულობების მიუხედავად უნივერსიტეტს შეუძლია, შექმნას აბსოლუტურად თავისუფალი სივრცე, სადაც ყველა ადამიანი იგრძნობს, რომ პატივს სცემენ თავისი განსხვავებულობით, რომ ამ განსხვავებულობის გამო თავს არ უნდა მოახვიოს საკუთარი აზრი სხვას, არ უნდა იძალადოს, პირიქით, უნდა ინსავლოს ამ განსხვავებულობით თანაარსებობა. მე ვამაყობ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებით! ბოლო პერიოდში, რვა წლის განმავლობაში, როცა რექტორი გახლდით და ბოლოს არაერთი რთული პროცესი შეხვდა უნივერსიტეტს და ჩვენმა სტუდენტებმა არასოდეს გადააბიჯეს აკადემიურობის ზღვარს. მეტიც, მათ თავიანთი ქმედებით დაამტკიცეს, რომ კარგად ესმოდათ, რას ნიშნავდა, იყო სტუდენტი. არცერთ მათგანს სტუდენტის სტატუსით, უნივერსიტეტის სახელით, არასოდეს გადაუდგამს ისეთი ნაბიჯი, რომელიც დააპირისპირებდა უნივერსი-

სახელმწიფო უნივერსიტეტი ემსახურა საზოგადოებას, ემსახურა უანგაროდ, ხშირად – უხმოდ, ემსახურა ღირსებით. ნამდვილად იმსახურებს უნივერსიტეტი ამისთვის დიდ მადლობას. აქ არასოდეს მხოლოდ ერთი ადამიანი არ არის დამნაშავე და არც მხოლოდ ერთი ადამიანის დამსახურებაა, ეს საუნივერსიტეტო საზოგადოების დამსახურებაა.

ხაზგასასმელია, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 90-იან წლებში რა მიზანს დაისახავდა თავიდან უნივერსიტეტი. მე მსურს გითხრა, რომ ქვეყნის სამსახურის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ეროვნული ღირებულებების ჩვენს უნივერსიტეტში გადმოტანის ის პირველი იდეა პროფესორ მერაბ ბერიძეს ეკუთვნის. უბრალოდ, ბედნიერებაა, რომ ეს იდეა უნივერსიტეტში 35 წლის განმავლობაში ატარა. მაღლობა ბატონი მერაბს, მაღლობა ამ იდეის გვერდით მდგომ ყველა ადამიანს, მაღლობა საზოგადოების თითოეულ წევრს, რომელიც მონაწილეობდა ამ პროცესში. ასე რომ, მე ვფიქრობ, უნივერსიტეტს შეუძლია გადაუჭარბებლად თქვას, რომ თავისი მისია გაცნობიერებული ჰქონდა და ამ მისიას უღალატოდ მსახურებდა.

**რას ეტყობთ უნივერსიტეტს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, მისი 35 წლის იუბილეზე?**

– სწორად დასმული კითხვაა. უნივერსიტეტი, მართლაც, ცოცხალი ორგანიზმია. ისეთი ცოცხალი, როგორც ადამიანი, რომელსაც უხარია, სწყინს, ქმნის და ამ შექმნისთვის საზრდო სჭირდება, რომლის სიცოცხლეც გულის ფეთქვაზე დამოკიდებულია. რას ვეტყობ უნივერსიტეტს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს? უნივერსიტეტის გულის ფეთქვაზე არის დამოკიდებული ჩვენი კუთხის განვითარება. ამიტომ, მე გამძლეობას, გაძლიერებას ვუსურვებ უნივერსიტეტს. ვეტყობ, რომ გახსნის პირველი დღიდან ის ძალიან გვჭირდებოდა ჩვენ, ადამიანებს. უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ უნივერსიტეტი თითქმის საქართველოს დამოუკიდებლობის ხელაა. უნივერსიტეტმა გაუძლო ურთულეს პერიოდს, გაუძლო ქართველებს და ყველა ქართველი ღირსეულად გაიარა. ყველა სირთულე აისახება მის ისტორიაზე. 35 წელი უკვე განაცხადია. აღარც პატარაა და არც იმხელა, რომ ვისაუბროთ სიბერეზე. პირიქით, უნივერსიტეტს ძალიან მნიშვნელოვანი ასაკი უდგას და ვფიქრობ, დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბერძენი მიზნის გამო, იმაზე მეტად არის საჭირო, ვიდრე 90-იან წლებში გვეჩვენებოდა. შეიძლება, ამას ასე იმიტომ ვხედავ, რომ რაც დრო გადის, უნივერსიტეტის ფუნქცია და მნიშვნელობა უფრო ფასდება. ასე რომ, მთავარი სათქმელი იქნებოდა ასეთი: უნივერსიტეტმა კიდევ დიდხანს, მყარად უნდა განაგრძოს განვითარება, აღზარდოს თაობები. უნივერსიტეტი ვლდებულა, ქვეყნის წინაშე თავისი მოვალეობები შეასრულოს.

**თქვენი აზრით, რა არის ის მთავარი სიტყვა ან იდეა, რომელიც ყველაზე ზუსტად გამოხატავს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დღეს?**

# სიბრძნე, რომელიც 35 წელიწადს ითვლის მე სიყვარულის უნივერსიტეტის შვილი ვარ!

რომელიც 90-იან წლებში იყო. ამიტომ, მე შემიძლია ვისაუბრო 90-იანი წლებიდან დღემდე რა ძირითადი ცვლილებებია სტუდენტობას შორის. პირველი და მთავარი გახლავთ ის, რომ მაშინ ძალიან ძნელი იყო სტუდენტის სტატუსის მოპოვება. ადამიანები რამდენიმეწლიანი მცდელობის შემდეგ იღებდნენ სტუდენტის სასურველ სტატუსს. ამის გამო სტუდენტთა უმრავლესობის ასაკი სცდებოდა 17-18 წელს, ზრდასრული ადამიანები მოდიოდნენ და ეს ზრდასრულობა თავისთავად აისახებოდა როგორც სწავლის ხარისხის, ისე სტუდენტური ცხოვრების დაგეგმვაში. გარკვეულწილად მეჩვენება, რომ ისინი უფრო მზად იყვნენ, დამოუკიდებლად მიეღოთ გადაწყვეტილებები, აქტიურად შესდგომოდნენ სტუდენტურ ცხოვრებას. მათ არ ჰქონდათ განცდა, სწორედ აირჩიეს თუ არა სპეციალობა. არცერთს უჩნდებოდა სპეციალობის შეცვლის სურვილი და აი, პირველი, რასაც მინდა გავუსვა ხაზი – 35 წლის შემდეგ იგრძნობა, რომ ხშირად სტუდენტები უნივერსიტეტში აბარებენ და მხოლოდ ჩაბარების შემდეგ, ერთი წლის სწავლის შემდეგ ხვდებიან, რომ არჩევანი სხვაგვარად უნდა გაეკეთებინათ. ხშირია მობილობა, ერთი სპეციალობიდან მეორეზე გადადიან. ერთი წელი კიდევ კარგი დროა. არის შემთხვევები, როდესაც ორი და სამი წლის შემდეგ ხვდება სტუდენტი, რომ სხვა სპეციალობა უნდა აერჩია. ადრე სტუდენტები ბევრად მეტ დროს ატარებდნენ არა მხოლოდ აუდიტორიაში, არამედ თავად უნივერსიტეტის სივრცეში და ასეთი სტუდენტები, რომლებიც სავსე სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრობდნენ, იყო უმრავლესობა და სტუდენტების მხოლოდ მცირე ნაწილი იყო ისეთი, რომელიც ვერ ახერხებდა ტკობას სტუდენტური ცხოვრებით. ახლა, რატომღაც, პირიქით გახლავთ. სტუდენტების უმრავლესობა მუშაობს და მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს ზემოთ ხსენებული სავსე სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრე-



ოდესმე სიყვარული მინილადებოდა და კეთილი საქმე ჩამიდენია, უფრო დიდ სიყვარულად და სიკეთედ გადაქცეულა და გავრცელებულა. ასე რომ, უდიდეს პატივისცემას ვგრძნობ ყველა იმ სტუდენტის მიმართ, რომლის ლექტორიც გახლდით; აუდიტორიას რომ ვალდებდი და მხედებოდნენ, მეტიც, 1997 წლიდან ვისაც შევხვედრილვარ სტუდენტის სტატუსით, ყველასაც მიღებული ენერჯითა და უკუკავშირით მე მთელი ამ წლების განმავლობაში ვსაზრდობდი და სწორედ ეს იყო მთავარი ძალა, რომელსაც 30 წელზე მეტი ვეყრდნობოდი.

**როგორ ხელდავთ უნივერსიტეტის ჩართულობას საზოგადოებრივ პროცესებში დღეს და მომავალში?**

– ყოველთვის მიმაჩნდა და ახლაც დარწმუნებული ვარ, უნივერსიტეტი უბრალოდ კი არ უნდა ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ უნივერსიტეტმა უნდა შექმნას აი, ამ საზოგადოებრივი ცხოვრების წესები, თავისი წესი უნდა შესთავაზოს საზოგადოებას. ეს წესი აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთსიყვარულს, ურთიერთპატივისცემას იმიტომ, რომ უნივერსიტეტი განსხვავებული სივრცეა. ის არც პოლიტიკური სივრცეა, არც მხოლოდ რელიგიური... ის არის აკადემიური სივრცე. აკადემიურობა იტყვას განსხვავებულ წარმომავლობას, განსხვავებულ რელიგიურ მრწამსს, განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებას, განსხვავებულ ემო-

ტეტის სხვა სტუდენტთან. ჩვენი სტუდენტობა არ დამოკიდებულია, არ დაითხოვს ცეცხლს, რასაც მე ძალიან ვაფასებ! ჩვენმა სტუდენტობამ საზოგადოებას მისცა ერთიანობის გაკვეთილი, მიუხედავად იმისა, რომ თავად სტუდენტობა, როგორც გითხარით, ერთგვაროვანი სულაც არ ყოფილა. ამიტომ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნივერსიტეტის ჩართულობა არის გადამწყვეტი.

უნივერსიტეტი ყოველთვის ადეკვატურად, შესაბამისად უნდა რეაგირებდეს საზოგადოების მოთხოვნილებებზე. ამას განათლება სჭირდება. თუ გადავხედავთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 35 წლიან ისტორიას, ეს გახლავთ ის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც არა მარტო ჩაერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ თავისი ძალიან ღრმა, ძალიან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა სამცხე-ჯავახეთის განვითარებაში და, შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის, საქართველოს გაძლიერებაში. უნივერსიტეტმა სამცხე-ჯავახეთს ახალგაზრდები შეუნარჩუნა რეგიონში, სამცხე-ჯავახეთი მოამარაგა ყველა იმ კადრით, რომელიც სჭირდებოდა კუთხეს. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას შეუწყო ხელი. ეს პროცესი სტუდენტებისა და პროფესორებისთვის იყო არაძალადობრივი, არათავსმობი. 35 წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის

მე-5 გვერდიდან

– დღესაც და ყოველთვის მთავარი სიტყვაა და იდეა, რომელიც, პირადად ჩემთვის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს უკავშირდებოდა, იყო შემდეგი: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხებინ, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულებინ“. 35 წლის განმავლობაში, ყოველდღე ამ უნივერსიტეტის კედლებში, თავიდან გაყინულ და ბოლოს კეთილმონყოილ აუდიტორიებში, ქართული ენით ჟამი უწყვეტად შეგვეწინა და ლოცვა აღგვესრულებინა. ჩვენი ჟამის შენირვა და ლოცვის აღსრულება ახალგაზრდა თაობისთვის ცოდნის გადაცემა იყო. ასე რომ, მთავარი იდეა არის უნივერსიტეტში ახალგაზრდა თაობის აღზრდა. როდესაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე ვსაუბრობ, გონებაში პირველი გამოცდების მიერ შექმნილი სახელი მახსენდება – „სიყვარულის უნივერსიტეტი“.

– არის თუ არა პერიოდი ან კონკრეტული ფაქტი, რომელიც თქვენთვის განსაკუთრებით სიმბოლურად უკავშირდება უნივერსიტეტის ისტორიას?

– ბევრი ფაქტია ისეთი, რომელიც სიმბოლურად უკავშირდება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მაგრამ ამჯერად მე ერთ კონკრეტულ ფაქტს გავიხსენებ, რომელიც ჩემი რექტორობისას ერთ მოვლენას უკავშირდება. თქვენ იცით, რომ ყველა უნივერსიტეტი აუცილებლად გადის ავტორიზაციის პროცესს. ეს არის ურთულესი პროცესი, ფაქტობრივად, უნივერსიტეტისთვის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ფუნქციონირების უფლების მოპოვება. ამიტომ ამ პროცესზე უფრო მნიშვნელოვანი უნივერსიტეტში არ არსებობს. იდგა 2020 წელი. წინა პანდემიური პერიოდი. ჯერ საქართველოში პანდემია არ არის დაფიქსირებული, სულ რამდენიმე დღეში დაფიქსირდება. 2019 წელს უნივერსიტეტმა წარადგინა საავტორიზაციო განაცხადი. იყვნენ ჩამოსული ექსპერტები. შეამოწმეს აბსოლუტურად ყველაფერი, ყველა კორპუსი, პროგრამები, სტანდარტები. მოგეხსენებათ, ამ პროცესს გარკვეული დაძაბულობაც ახლავს. დასრულდა ექსპერტთა ვიზიტი. მათ დაწერეს დასკვნა. დასკვნას აქვს თავისი რეკომენდაციები. ექსპერტებს აქვთ გარკვეული მოთხოვნები. პროცესი არის ამგვარი: ბოლოს ავტორიზაციის საბჭოს სხდომა იმართება ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, სადაც ერთ მხარეს ექსპერტები არიან, მეორე მხარეს, მოპასუხე მხარეს – საგანმანათლებლო დაწესებულება. ექსპერტები თავიანთ რეკომენდაციებსა და შენიშვნებს აჟღერებენ. საგანმანათლებლო დაწესებულების მხარე უნდა უპასუროს. ავტორიზაციის საბჭო კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, მოიპოვებს თუ არა უნივერსიტეტი ავტორიზაციას შემდეგი ექვსი წლის განმავლობაში. წარმოიდგინეთ, არის 2020 წლის 20 თებერვალი. გარკვეულად ციფრებიც ისე დალაგდა, რომ სიმბოლურია ორიანი და ნულიანები. მივიღვართ. ჩემთან ერთად არის

პროფესორი მერაბ ბერიძე, რექტორის მოადგილე. გვახლავს ქალბატონი ნინო მილაშვილი, ხარისხის სამსახურის უფროსი. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დეკანები... მოკლედ, უნივერსიტეტის წარმომადგენლები. იმართება სხდომა. მიმდინარეობს კამათი. ისინი რეკომენდაციებს გვაძლევენ, ჩვენ ვპასუხობთ. დადგა საბჭოს გადაწყვეტილების დრო. მახსოვს პირველი ფრაზა, როდესაც საბჭოს თავმჯდომარემ თქვა: „დღეს არ არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაცია. დღეს ამ უნივერსიტეტის აღიარების დღეა და ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ განვაცხადოთ ავტორიზაციის შესახებ, ჩვენ მადლობა უნდა გადავუხადოთ ამ უნივერსიტეტს“. ვერ აღვინერო, როგორი სიამაყით ვიყავი სავსე. ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მიგვრძნია მსგავსი ემოცია. ძალიან ღირსეული, საკმაოდ კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანები საუბრობდნენ ჩვენს უნივერსიტეტზე და ხაზს უსვამდნენ მის მნიშვნელობას, მზადყოფნას გამოხატავდნენ მის დასახმარებლად. გადაუჭარბებლად გეტყვი,

## სიბრძნე, რომელიც 35 წელიწადს ითვლის მე სიყვარულის უნივერსიტეტის შვილი ვარ!

როგორც ადამიანი, მეორედ დავიბადე და ამ პროცესებში ყოველთვის დიდი შრომაა ჩართული. მაშინ ხმამალა ვთქვი, ეს უნივერსიტეტი არა მარტო თითოეული ჩვენგანის შრომას იმსახურებს, არამედ სიცოცხლეს რომ დასჭირდეს, უნდა გავიღოთ. კიდევ უფრო პასუხისმგებლობით სავსენი დავბრუნდით ყველანი. მე მსურს, დიდი მადლობა მოვასხუნო იმ საბჭოს თითოეულ წევრს, რომელმაც გვაგრძობინა კიდევ ერთხელ, რომ არაფერი იკარგება, თუ არის გულწრფელი, ეროვნული და ემსახურება სამშობლოს ძლიერებას.

– თქვენი აზრით, რა არის ის მთავარი ღირებულებები, რომლებმაც უნივერსიტეტი 35 წლის განმავლობაში შეინარჩუნა და განავითარა?

– მე ჩემს პიროვნულ დამოკიდებულებას მოგახსენებთ. მთავარი ღირებულება არის ერთიანობა პიროვნულისა და სახელმწიფოებრიობის, ამის განუყოფლობა და მთლიანობა. როდესაც შემოაბიჯებ უნივერსიტეტის პირველ კორპუსში და გრიგოლ ხანძთელის ძეგლი დაგვხვდება, აქ ადამიანი რჩები მარტო უფალთან. აქ იღვიძებს პიროვნული პასუხისმგებობა, უფლის სამსახური. თითქოს გახსენებს გრიგოლ ხანძთელი, რომ ახლა შენ შედიხარ ახალგაზრდებთან. თითქოს გკარნახობს გრიგოლ ხანძთელი, რომ არ დაგავიწყდეს ღმერთის არსებობა. გამხსნევებს გრიგოლ ხანძთელი, რომ ამავე დროს, უფალია შენთან ამ გზაზე. როგორც პიროვნებას, გაქვს ღირებულება, საოცარი რწმენა ღვთისა და იმედი, რომ ყველა გასაჭირში, ყველა საქმეში, ყველა წამოწყებაში უფალი დაგეხმარება, დაგიცავს ეშმაკისგან, შეცდომისგან. მეორე მხრივ, გრიგოლ ხანძთელის, ამ დიდი პიროვნების, როგორც მოღვაწის საქმიანობის გააზრებისას ფიქრობ, რომ უნდა გააგრძელო ტაო-კლარჯეთის დიდი საგანმანათლებლო სკოლის ტრადიციები. მაშინ იგსები თავიდან

ბოლომდე. მაშინ ძლიერი ხარ. მაშინ არ გყავს დამმარცხებელი. აი, ეს არის მთავარი ღირებულება. უფლისა და ქვეყნის სამსახური. გზები შეიძლება იყოს სრულიად სხვადასხვა, მაგრამ ღირებულებები მარადიულია!

– როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანური ურთიერთობები უნივერსიტეტის წარმატებაში – ლექტორების, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის ერთიანობა?

– ძალიან საინტერესოდ იქმნება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკა. ეს არ იქმნება ერთი ჯგუფის, ერთი ადამიანის, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი თაობის მიერ. ძალიან ბევრი აქტორია, ასე ვთქვათ, ჩართული ამ ყველაფერში. რა თქმა უნდა, თავისი გავლენა აქვს საგანმანათლებლო პოლიტიკას ქვეყანაში. როგორი პოლიტიკა აქვს სამინისტროს, რა აქვს დაგეგმილი და როგორ გეხმარება განვითარებაში. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, კონკრეტულად, რეგიონის დონეზე რა დამოკიდებულება აქვს უნივერსიტეტთან მიმართებით ადგილობრივ ხელისუფლებას და როგორ არის აწყობილი ეს

უნივერსიტეტის განვითარება სულ სხვა სიმაღლეზე ასწიოს, უნივერსიტეტს სხვა პერსპექტივები და სხვა საჭიროებები დაანახოს. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, იყო უნივერსიტეტში ასეთი ფაქტი – სტუდენტური ინიციატივა, რომელიც აფხაზური ცენტრის შექმნას ითვალისწინებდა, რომელსაც ვერ გავთვლით წინასწარ სტრატეგიული გეგმით, თუმცა, თქვენ, სტუდენტებმა ამ ინიციატივით უნივერსიტეტისთვის ახალი რეალობა შექმნით და შეიძლება ითქვას, ისეთი შედეგები გქონდათ, რომ თქვენი ინიციატივით შეიცვალა უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიაში გაჩნდა ახალი პუნქტები. აი, ასე იქმნება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკა. ამიტომაცაა უნივერსიტეტი ცოცხალი ორგანიზმი. ამიტომ უხარია, სტიკია და რეაგირებს ადეკვატურად ნებისმიერ სიტუაციაზე.

– როგორ წარმოგედგინათ უნივერსიტეტი მომდევნო 10-15 წელიწადში?

– ვერ წარმოიდგინებ, როგორი მოლოდინი მაქვს უნივერსიტეტის განვითარების. 10-15

წელიწადში უნივერსიტეტი, პირველ რიგში, წარმოიდგენია მატერეალურ-ტექნიკური ბაზით აბსოლუტურად უზრუნველყოფილი. ეს მატერეალურ-ტექნიკური ბაზა გულისხმობს საერთო საცხოვრებელს, თანამედროვე ლაბორატორიებს, არაჩვეულებრივ აუდიტორიებს, როგორც დასასვენებელ და გასართობ, ისე საგანმანათლებლო სივრცეს სტუდენტებისათვის, როგორც ახალციხეში, ისე ახალქალაქში, ყველა პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის სრულად დადასტურებულ გარემოს. 10-15 წელიწადში მგონია, რომ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამები იქნება კიდევ უფრო ძლიერი და დახვეწილი. უნივერსიტეტს შემოემატება კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდა პროფესორი და გააძლიერებს მას. ბევრ საკითხში უნივერსიტეტი უნდა გახდეს ერთადერთი კი. ჩვენ ვნახეთ, რომ შეგვიძლია ვიყოთ პირველები, ერთადერთი, თუ კი ვიქნებით ერთად და გვექნება კარგი ხედვა. 10-15 წლის შემდეგ ყველა კურსდამთავრებული კვლავ სიამაყით იტყვის, რომ მან დაამთავრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ის ნამდვილად იყო სიყვარულის უნივერსიტეტი.

– რას ეტყოდით იმ ადამიანებს, ვინც ამ უნივერსიტეტთან ერთად გაიზარდა – სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, ლექტორებს?

– იცით, რას ვეტყვი? ვიყოთ უფრო მადლიერი და ყოველთვის ვეცადოთ, რომ უნივერსიტეტი ობიექტურად შევაფასოთ. პირადად ჩემთვის, დროის სვლასთან ერთად, კიდევ უფრო ფასეული ხდება ის წლები, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავატარე. დრო კიდევ უფრო დიდი მადლიერებით მავსებს იმ ადამიანების მიმართ, ვინც მასწავლიდა. კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობასა და სიყვარულს ვგრძნობ მათ

მიმართ, ვისაც ვასწავლიდი. ასე რომ, გულწრფელად გითხრათ, მე არც როგორც ადამიანს და არც როგორც ამ უნივერსიტეტის თანამშრომელს არ მომიპოვებია უფლება, რომ განსაკუთრებულად მივმართო ვინმეს. მე ვიტყვი, მე ერთი მათგანი ვარ, ვინც მადლიერი უფლისა და ადამიანების, ვინც ეს უნივერსიტეტი თავის დროზე გახსნა სამცხე-ჯავახეთში. მადლობა უფალს, რომ ჩვენი ქვეყნის ურთულეს პერიოდში ეს გადარჩევითი იქნა მიღებული. მადლობა ყველას, ვინც მე ამ წლების განმავლობაში ცხოვრების გზაზე შემხვდა, სიცოცხლის ბოლომდე ვიქნები მადლიერი და ძალიან მინდა, ყოველთვის ვიმსახურებდე ჩემი ცხოვრებით იმას, რომ მხოლოდ სიყვარულით დამაკავშირონ უნივერსიტეტთან, სიკეთით სავსენმა თქვან ჩემზე – აი, მან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი დამათავრაო. მე შემიძლია, მხოლოდ მოკრძალებით ვთქვა, როგორც ამ დიდი ტაძრის ერთ-ერთმა მრევლმა, ვინც ამ უნივერსიტეტში გავიზარდე, საოცარ სიყვარულს ვგრძნობ თითოეული ადამიანის მიმართ, ამ წლების განმავლობაში ცხოვრების გზაზე რომ შემხვედრია და მინდა ამ მრევლს, პედაგოგებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს ვეგვლებოდეთ ერთგულ, პატივისმცემელ და მათ მიმართ სიყვარულით განმსჭვალულ ადამიანად.

– დასასრულისთვის, რას უსურვებდით უნივერსიტეტს მისი 35 წლის იუბილეზე და რა გზავნილს გაუზიარებდით აკადემიურ საზოგადოებას?

– პირველ რიგში, ჩემს უსაყვარლეს უნივერსიტეტს, რომელთან ერთადაც გავიზარდე, რომელსაც უკავშირდება ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი წლები, რომელმაც ძალიან ბევრი რამ მასწავლა, ბევრი რამ გაიღო და მის მიმართ ძალიან დავალბული ვარ, ვულოცავ 35 წლის იუბილეს. უნდა გამოვტყუდე, ხშირად ადამიანები იმაზე უფრო საუბრობენ – მე ეს გამიკეთებია ამ 35 წლის განმავლობაში... იცით, უნივერსიტეტისთვის ეს სიკეთე მომიტანია... ერთ თქმა უნდა, ისინი მართლები არიან, აქვთ ეს დამსახურება და უფლება აქვთ თქვან ამის შესახებ, მაგრამ იშვიათად ვსაუბრობთ იმის შესახებ, რა მოგვიტანა უნივერსიტეტმა. ამ 35 წლის განმავლობაში მან მოგვიტანა ბევრი სიხარული, უამრავი ახდენილი ოცნება, ბევრი წარმატება, დაუწინაოარი ნუთები, ბედნიერების საოცარი შეგრძნება, სიამაყე, ადამიანებთან ურთიერთობის შესაძლებლობა, სიკეთე, სიყვარულის ფასდაუდებელი განცდა... ასე რომ, 35 მადლიანი წელი გვაჩუქა საზოგადოებას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. რას ვეტყვი მე მას? ძალიან მინდა, უნივერსიტეტს დაუბრუნდეს ის მადლი და სიკეთე, რაც მას 35 წლის განმავლობაში გაუღია. მე ვიცი, რომ თუ ეს ასე მოხდება, მაშინ 35 კი არა, კიდევ 350 წელი იდგება მხნედ, ამაყად. 350 წლის შემდეგაც სტუდენტები სიამაყით იტყვიან: დავამთავრე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი!

– დიდი მადლობა, ქალბატონო მაკა.

– მადლობა თქვენ. გისურვებთ წარმატებებს.

ინტერვიუერი რინა სულაძე



● **1-3 დეკემბერი, Erasmus+ CBHE PRODIGE** (მაღალი ხარისხის ციფრული განათლების ხელშეწყობა საქართველოში) პროექტის ფარგლებში, ქ. თბილისში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო სამდღიანი ტრენინგი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების გაძლიერება განათლებაში (WP4, T4.3).

ტრენინგს უძღვებოდა ხორვატიის ალგებრა ბერნეისის უნივერსიტეტის ექსპერტების გუნდი: მარკო კოვარიჩი – ფილოსოფიის დოქტორი, რიეკის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კვლევის მეთოდოლოგიის ლექტორი; ივა ჯამბასკი – მაგისტრი, ალგებრა ბერნეისისა და რიეკის უნივერსიტეტის ასოცირებული თანამშრომელი, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი.

ტრენინგში მონაწილეობდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი: თეა თათენაშვილი (კოორდინატორი, ექსპერტი/მკვლევარი), ირაკლი ხაჩიძე (ექსპერტი/მკვლევარი) და თამარ კაპანაძე (ექსპერტი/მკვლევარი).

სამი დღის განმავლობაში მონაწილეები მუშაობდნენ შემდეგ თემებზე: სტუდენტების ციფრული უნარების ხარვეზების გამოვლენა; ციფრული ტრანსფორმაციის ევროპული ტენდენციების გააზრება; ონლაინ სწავლებისა და ციფრული პედაგოგიკის თანამედროვე მიდგომები; დასაქმების ხელშეწყობისთვის საჭირო ციფრული კომპეტენციების ინტეგრირება სასწავლო პროცესში; დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისა და ინსტიტუციური სამოქმედო გეგმების შემუშავება.

ტრენინგი მიზნად ისახავდა მონაწილეთა პროფესიული და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას, ცოდნის გაზიარებასა და ევროკავშირის პრიორიტეტების გათვალისწინებით ციფრული განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

● **3-9 დეკემბერი**, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ETHICS-Erasmus+ (Responsible Conduct of Research - Research Integrity and Ethics in Georgian Universities) პროექტის ფარგლებში, დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისათვის, ჩატარდა ტრენინგ-ვორკშოპი თემაზე: **კვლევის ეთიკა და კეთილსინდისიერება** (15 საათი), რომელსაც უძღვებოდნენ: პროექტის მენეჯერი, პროფ. თინა გელაშვილი და პროექტის მკვლევარ-ტრენერები (პროფ. ნიკოლოზ ახალკაცი, პროფ. გულიკო ჯანოვა, პროფ. ნინო მილაშვილი, ასოც. პროფ. მაკა მურვანიძე, ასოც. პროფ. მაია გელაშვილი, მონვე-

ული პედაგოგი თამარ ყუყუნაძე და ბიბლიოთეკის ტექნიკური დირექტორი ხათუნა კვინცხაძე. მონაწილეებს გადაეცათ მონაწილის სერთიფიკატები.

● **4-5 დეკემბერი, Erasmus+ CBHE PRODIGE** (მაღალი ხარისხის ციფრული განათლების ხელშეწყობა საქართველოში) პროექტის ფარგლებში, ქალაქ თბილისში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა WP8-ის T8.4 – **„ეროვნული მრგვალი მაგიდა 1“**. მონაწილეობდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე და პროექტის კოორდინატორი თეა თათენაშვილი.

„ეროვნული მრგვალი მაგიდა 1“ მიზნად ისახავდა, PRODIGE-ის პირველი ფაზის ფარგლებში, განხორციელებული აქტივობებისა და მიღებული შედეგების შეჯამებას. განხილვა შეეხებოდა სწავლების ინოვაციებს, აკადემიური პერსონალის განვითარებას და ინსტიტუციურ ტრანსფორმაციებს. სესია წარმოადგინა პლატფორმას ინსტიტუციური რეფლექსიისა და გამოცდილების გაზიარებისთვის.

ინსტიტუციურ პანელურ დისკუსიაში მონაწილეობდნენ კონსორციუმის წარმომადგენლები: **ირმა გრძელიძე** – თსუ, **მაია ბინაძე** – ილიაუნა, **ნათია ნიფურია** – ზსუ, **ნატალია ჯიჯავაძე** – BSMA, თეა თათენაშვილი – სჯსუ, დავით ნიკლაური – CU, **ვახტანგ ბეროშვილი** – თსუ, **თამა დემეტრაძე** – ანსუ, **ზურაბ ზურაბაშვილი** – სსუ, **მაკა კოჭაური** – თესაუ, მოდერატორი – **რუსუდან სანაძე** (თსუ).

საქართველოს პარტნიორმა უნივერსიტეტებმა გამოთქვეს აზრი იმაზე, თუ როგორ იმოქმედა PRODIGE-მ ციფრული სწავლების პრაქტიკაზე, ფაკულტეტების შესაძლებლობებზე, მმართველობის პროცესებსა და ინსტიტუციურ სტრატეგიებზე.

ლონისძიებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ციფრული განათლების სფეროში მიმდინარე ტრანსფორმაციები და ის მმართველები, რომლებიც საჭიროებს მხარდაჭერასა და სისტემურ განვითარებას, როგორც ინსტიტუციურ, ისე ეროვნულ დონეზე.

● **12 დეკემბერი**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 2025 – **„ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათი გამოყენება“ (III International Scientific Conference of Students 2025 – „Information Technologies and Their Application“)**.

კონფერენცია გახსნა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფ-

როსმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ლელა ნითაშვილმა**. დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ** და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **ლევან მაკარაძემ**.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს, ასევე, უცხოეთის მრავალი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებმა, მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა. მათ შორის იყვნენ სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტის, აზერბაიჯანის განჯის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჩეხეთის პრადის სიციოცხლის შემსწავლელი მეცნიერებათა უნივერსიტეტის, პორტუგალიის ავეიროს უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები.



კონფერენციის ორგანიზატორი იყო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.

● **12 დეკემბერი**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფორმაციკის სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კოლეგიის სხდომა.

სხდომის ფარგლებში შედგა ორი სადოქტორო ნაშრომის


დაცვა ინფორმაციკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

დოქტორანტმა **ჯულიეტა ტაბეშაძემ** წარმოადგინა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: **„ელექტრონულ წრედებში გამავალი სიგნალის აღდგენის ალგორითმები“**. ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი – **ვასილ ტაბაბაძე**, ფიზიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. ოფიციალური რეცენზენტები გახლდნენ: **რევაზ ჭილაძე**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და **ივანე დარსაველიძე**, ფიზიკის დოქტორი.

მეორე სადისერტაციო ნაშრომი თემაზე **„ცოდნის მოდელირება გრაფული მანქანური სწავლების გამოყენებით“** წარმოადგინა დოქტორანტმა **ირაკლი ხაჩიძემ**. ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი – **გულნარა ჯანელიძე**, საინჟინერო მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. ოფიციალური რეცენზენტები: **ლერი ნოზაძე**, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი და **ხათუნა ელბაქიძე**, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი (ალტე უნივერსიტეტი).

რეცენზენტებმა ორივე სადისერტაციო ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს, განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი თემების აქტუალობას, კვლევის სიღრმესა და გამოყენებული სამეცნიერო წყაროების ფართო სპექტრს. მათი შეფასებით, წარმოდგენილი ნაშრომები სრულად აკმაყოფილებს ინფორმაციკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

### ინფორმაცია



ირაკლი ხაჩიძის სადისერტაციო ნაშრომები შეფასდა დადებითად და უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წარდგინა რეკომენდაციით ინფორმაციკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

● **16 და 19 დეკემბერი**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3-4 კორპუსში გაიმართა საგანმანათლებლო და შემეცნიერო შესწავლა. გასვლითი გაკვეთილის ფარგლებში უნივერსიტეტს ესტუმრნენ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ქართული ენის კურსის მსმენელები, რომლებიც, ამავდროულად, აბიტურიენტები არიან.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ახალქალაქის სოფლების – ბურნაშეთის, აზავრეთის, დადემისა და ლომატურცხის ახალგაზრდები. ღონისძიება წარმართა ინტერაქციულ ფორმატში; აბიტურიენტებმა მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მიიღეს ამომწურავი, დეტალური და პრაქტიკული პასუხები.

შეხვედრის შემდეგ აბიტურიენტებს შესაძლებლობა მიეცათ, დაეთვალთვალებინათ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, გაცნობოდნენ სასწავლო აუდიტორიებს, სტუდენტურ სივრცეებსა და საერთო აკადემიურ გარემოს.

ღონისძიებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი უნივერსიტეტის მიზანს – ახალგაზრდებისთვის ინფორმირებული არჩევანის მხარდაჭერას, მოტივაციის ამაღლებასა და განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას.

გაგრძელება მე-8 გვ.





● **18 დეკემბერს**, პროექტის – „ცოცხალი წიგნების“ მეორე ეტაპის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა ქართული ლიტერატურის მოყვარულებთან. ღონისძიებას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოების წარმომადგენლები.

შეხვედრას მსსსს-ის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი და ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოების წარმომადგენლები. მკითხველებთან შეხვედრა გამართეს ცნობილი ავტორებმა: **მარინა თეთუმანიძემ, გივი ჩილვინაძემ, კახა შალამბერიძემ** და **ოთარ ფალიანმა**. მათ დამსწრე საზოგადოებას საკუთარი შემოქმედება გააცნეს და ლიტერატურულ პროცესებზე ისაუბრეს.

ღონისძიება გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ** და პროექტორმა სამეცნიერო მიმართულებით, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ**. მათ დადებითად შეაფასეს ავტორების აქტიური თანამშრომლობა ფართო საზოგადოებასთან, ქართული ლიტერატურის ახალი ხმების წარმოჩენა და ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა.

შემდეგ სიტყვა სტუმრებს დაეთმო. მათ აუდიტორიას თავიანთი შემოქმედებითი ხედეა და ლიტერატურული გამოცდილება გაუზიარეს. ღონისძიებაზე შექმნილმა ამაღლებულმა და შთამაგონებელმა განწყობამ სტიმული მისცა სტუდენტებსაც. **იური ბალახაძემ, ეკა მოდებაძემ** და **რადმილა ჩაჩანიძემ** დამსწრე საზოგადოებას საკუთარი პოეტური ნამუშევრები წარუდგინეს.

ღონისძიებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა პროექტის „ცოცხალი წიგნების“ იდეა – ეს არის ლიტერატურა, რომელიც ცოცხლობს, სუნთქავს და უშუალოდ ესაუბრება მკითხველს.

● **19 დეკემბერს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პავლე ზაზაძის

სახელობის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფორმატიკის სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კოლეგიის სხდომა.

სხდომის ფარგლებში შედგა ორი სადოქტორო ნაშრომის დაცვა ინფორმატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

დოქტორანტი **დარეჯან ვედიაკოვა** წარმოადგინა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: **„ელექტრონული წრედების პარამეტრების კორექტულობის შემოწმების ალგორითმები“**.

ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი – **ვასილ ტაბატაძე**, ფიზიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. ოფიციალური რეცენზენტები: **ჯემალ მამაიაშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი და **თამარ ნოზაძე**, ფიზიკის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი.

მეორე სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: **„კომპიუტერულ ქსელებში სისტემის რხევების შემცირების ალგორითმების შემუშავება“** წარმოადგინა დოქტორანტი **სერგო მიქელაძე**. ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელები – **ჯემალ მამაიაშვილი**, რომან სამხარაძე. ოფიციალური რეცენზენტები: **მზია კიკნაძე** და ინფორმატიკის დოქტორი **გელა ჭიკაძე**.

რეცენზენტებმა ორივე სადისერტაციო ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს, განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი თემების აქტუალობას, კვლევების სიღრმესა და გამოყენებული სამეცნიერო წყაროების ფართო სპექტრს. მათი შეფასებით, წარმოდგენილი ნაშრომები სრულად აკმაყოფილებენ ინფორმატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის დადგენილ ყველა სამეცნიერო და აკადემიურ მოთხოვნას, რის საფუძველზეც დისერტანტებს დადებითი რეკომენდაცია მიეცათ.

### ინფორმაცია

დისერტაციების დაცვა წარმართა აქტიურ და შინაარსიან დისკუსიაში. დოქტორანტებმა დასმულ შეკითხვებს კომპეტენტურად და არგუმენტირებულად უპასუხეს, რაც დადებითად იქნა შეფასებული როგორც დარგობრივი კოლეგიის წევრების, ისე დამსწრე საზოგადოების მიერ.

დარგობრივი კოლეგიის სხდომის შედეგების საფუძველზე, დარეჯან ვედიაკოვის და სერგო მიქელაძის სადისერტაციო ნაშრომები შეფასდა დადებითად და უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წარედგინა რეკომენდაციით ინფორმატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

● **23 დეკემბერს**, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბაზაზე, გაიმართა საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებიდან წარდგენილი 2025 წლის საუკეთესო ნაშრომებისა და შედეგების პრეზენტაცია **„წლის საუკეთესო მიღწევის“** ნომინაციაში გამარჯვებული ნომინანტების გამოსავლენად.



ბული ნომინანტების გამოსავლენად.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან წარდგენილმა პრეზენტაციამ თემაზე: **„ვეტერინარიის მიმართულებით სწავლებაში ახალი ინოვაციური მეთოდების დანერგვა და მისი მნიშვნელობა“**, პრეზენტატორი, პროფესორი **ლევან მაკარაძე** ნომინაციაში **„წლის საუკეთესო მიღწევის“** გამარჯვებულის სტატუსი მოიპოვა.

ღონისძიების ორგანიზატორებისგან ბატონმა ლევანმა მიიღო შეტყობინება: „ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა კიდევ ერთხელ გიხდით მაღლობას ღონისძიებაში მონაწილეობისთვის. ასევე, მაღლობა თქვენი შრომისა და

შთამაგონებელი მიღწევებისთვის“.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს ბატონ ლევანს ამ მნიშვნელოვან წარმატებას და უსურვებს კვლავაც ნაყოფიერ საქმიანობას მეცნიერებაში.

● **23 დეკემბერს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ახალგაზრდული პროექტის – **„მე, ოჯახი, სახელმწიფო“** – პრეზენტაცია. ღონისძიებას უძღვებოდა პროექტის ავტორი, ქალბატონი **თამარ ჩიბურდანიძე**.

შეხვედრა გახსნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ**. მან ხაზი გაუსვა მსგავსი ინიციატივების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობისა და ღირებულებითი ცნობიერების გაძლიერების პროცესში.

სტუდენტებს სიტყვით მიმართა ინჟინერიის აკადემიის აკადემიკოსმა და საქართველოს პარლამენტის მერვე მოწვევის წევრმა **თემურ მაისურაძემ**, რომელმაც მაღლობა გადაუხადა პროექტის ავ-

ხელმწიფოს ეროვნულ, დემოკრატიულ და სუვერენულ განვითარებას.

პროექტი ხორციელდება კონკურსის ფორმატით და დასრულდება 2026 წლის 20 თებერვალს. პროექტის განხილვაში აქტიურად ჩაერთნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, რის შემდეგაც შეხვედრა ინტერაქტიულ ფორმატში გაგრძელდა.

პროექტი ხორციელდება ახალგაზრდობის სააგენტოს საერთო კონკურსის – **„ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერება“** – ფარგლებში, ქ. თბილისის მერიის თანადაფინანსებით. პროექტის განმახორციელებელია დემოგრაფიული აღორძინების ფონდი.

● **23 დეკემბერს**, გაიმართა ევროკავშირის 2025 წლის ERASMUS+ CBHE კონკურსის გამარჯვებული პროექტის **„საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევისა და ინოვაციების შესაძლებლობების გაძლიერება“** (ERIC-GE) პირველი სამუშაო შეხვედრა.

პროექტი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია ინსტიტუციური განვითარებისა და სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერების თვალსაზრისით. იგი ხელს შეუწყობს საერთაშორისო თანამშრომლობისა და აკადემიური შესაძლებლობების გაფართოებას, ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და კვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვას. ასევე, უნივერსიტეტი შეიძენს Web of Science პლატფორმას, რომელიც საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზას წარმოადგენს და გამოიყენება კვლევისა და ციტირების შესაძლებლად.

პირველ ეროვნულ შეხვედრაში, რომელსაც ნიუ უნიმ უმასპინძლა, კონსორციუმში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან შეხვედრას ესწრებოდნენ პროექტის მენეჯერი **გურანდა მოდებაძე** და პროექტის მკვლევარი **ნინო მილაშვილი**.

პროექტი მომდევნო ორი წლის განმავლობაში განხორციელდება და მას კოორდინაციის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი „ტექნიფორმი“ გაუწევს.

ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან



გაციანთ პროფესორი მიხეილ ვესიოვი (Michael Vessio), რომელმაც საქართველოში მეორე სახლი იპოვა და ახალციხე მთელი გულით შეიყვარა.

– გამარჯობა, ბატონო მიხეილ. პირველ რიგში, მადლობა, რომ ინტერვიუზე დამთანხმდით. როგორ ხართ?

– ძალიან კარგად, გმადლობთ. – მისტერ ვი, მოგვიყვით თქვენ შესახებ, საიდან მოდიხართ, რას საქმიანობთ და როგორ მოხვდით ახალციხეში.

– წარმოშობით ნიუ-იორკიდან ვარ, ბროქლინიდან. ნიუ-იორკში გაიზარდე. ამჟამად ჩემს ოჯახთან ერთად ბოლონიაში, იტალიაში ვცხოვრობ. 21 წელია, დაქორწინებული ვარ, მყავს ხუთი შვილი და ერთი შვილიძე. ჩემი კარიერის განმავლობაში, ფაქტობრივად, ორი პროფესია მქონდა: ადრე მარკეტინგსა და გაყიდვებში ვმუშაობდი, ბოლო 15 წელია, პროფესორი და ინგლისური ენის მასწავლებელი ვარ. ბევრი ვიმოგზაურე მსოფლიოს გარშემო, ვმუშაობდი სხვადასხვა ქვეყანაში – ჩინეთში, ტაილანდსა და კორეაში. ასევე, მქონდა გაწევრიანება დუბაიში, ნორვეგიაში, პარიზსა და გერმანიაში. ამჟამად ახალციხეში ვიმყოფები „English Language Fellow“-ს პროგრამის ფარგლებში, რომლის სპონსორებიც არიან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი ვაშინგტონში. როდესაც მკითხეს, მსურდა თუ არა აქ ჩამოსვლა, დაეთანხმდი, რადგან საქართველოში არასდროს ვყოფილვარ. საცხოვრებლად პატარა ქალაქები უფრო მომწონს. ნიუ-იორკში ვარ და თითქმის მთელი ცხოვრება დიდ ქალაქებში მაქვს გატარებული. ვფიქრობ, პატარა ქალაქები უფრო მეტად გეგობრებიან და მყუდროა, ვიდრე დიდი. ძალიან მინდოდა საქართველოში ჩამოსვლა. არც ვნანობ, რომ ჩამოვედი. მომწონს აქაურობა. რამდენჯერმე ვიყავი ბათუმში და თბილისში, მაგრამ ყოველთვის მიხარია ახალციხეში დაბრუნება.

– რა გახდა თქვენი შთაბეჭდილების წყარო, რომ ჩამოსულიყავით და გენსაველებინათ საქართველოში?

– უპირველეს ყოვლისა, სწავლება ჩემი პროფესიული თვითრეალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ სტუდენტებთან აკადემიურ ურთიერთობას და ვცდილობ, ყველა სასწავლო ჯგუფთან კონსტრუქციული და პროფესიული თანამშრომლობა ჩამოვაყალიბო. საქართველო არის ქვეყანა, სადაც მანამდე არასდროს ვყოფილვარ და არც კავკასიის რეგიონში მქონია აკადემიური ან პირადი ვიზიტის გამოცდილება. ჩემთვის ცნობილი იყო ქვეყნის მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, რის გამოც ახალი კულტურული გარემოს გააცნობა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. საქართველოში ყოფნის პირველი სამი თვის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება შევიძინე. საქართველოში ჩამოსვლამდე ქვეყნის შესახებ ჩემი ინფორმაცია მუზღუდული იყო. ძირითადად ვიცნობდი UFC-ის მებრძოლ მერაბ დვალიძის, რომელიც ჩემთვის ერთ-ერთი გამორჩეული სპორტსმენია. ასევე, ცნობილი იყო თოფურის პოპულარობაც, თუმცა, პირადად ჩემთვის მერაბი უფრო ნათლად და ემოციურად ასახავს საქართველოს. კავკასიის რეგიონის გაცნობა ჩემთვის მნიშვნელოვანი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება აღმოჩნდა. ხშირად ვაცხადებ, თუმცა, მგონია, რომ ყველას არ სჯერა, საქართველოში, განსაკუთრებით ახალციხეში ყოფნა, ჩემთვის კომფორტულია და დადებით ემოციებს უკავშირდება, რადგან ქვეყნის სოციალური და კულტურული გარემო ბევრ ასპექტში მასსხვევს იტალიას. იტალიაში თხოვთმეტი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი და იქ გავზარდე ჩემი შვილები; შესაბამისად, მიმაჩნია, რომ საქართველო და იტალია კულტურული თვალსაზრისით გარკვეულ მსგავსებებს ავლენენ და შეიძლება ერთმანეთის „ახლო ნათესავეებად“ იქნეს აღქმული.

– თუ გასინჯავთ ტრადიციული ქართული კერძები და რომელია თქვენი ფავორიტი?

– რა თქმა უნდა! ვფიქრობ, როგორც ამერიკელისთვის, პირველი ქართული კერძი, რომლის გასინჯვაც მინდოდა, იყო ხინკალი. ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ, როდესაც პირველად რესტორანში ნახედი, ქართველ კოლეგასთან, გიორგისთან ერთად, პირველი კერძი, რომელიც დაგვამოგვნი იყო „ოსტრი“. სწორედ ეს კერძი იქცა ჩემს ფავორიტად. ხინკალი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მომწონს და ხშირად მივირთმევე, ჩემს პირად რეიტინგში მესამე ადგილზეა, ხოლო მეორე ადგილი უკავია „მწვადს“, რომელიც ასევე გამორჩეულად მიყვარს. ასევე, უნდა აღვნიშნო, რომ აქაური პური და ყველი საოცრად მაღალი ხარისხისაა – მათი გემო, მართლაც, შთაბეჭდავია. გარდა ამისა, ძალიან მომწონს ლობიანი, რომელსაც ხუმრობით „ქართულ ბურიტოს“ ვეძახი.

## წარმატების საიდუმლო ჰოზიბიუსა და მუდმივ სწავლაში



– როგორი იყო თქვენი პირველი შთაბეჭდილება საქართველოსა და ქართველებზე?

– კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ საქართველო და იტალია ჩემთვის გარკვეულწილად „ნათესავ“ ქვეყნებად აღიქმება, რის გამოც ქართველები ძალიან კეთილგანწყობილ და სტუმართმოყვარე ადამიანებად მომეჩვენენ. ამასთან, იტალიელებსა და ქართველებს შორის გარკვეულ განსხვავებასაც ვხედავ: იტალიელებს ზოგჯერ ნაკლები მოთმინება ახასიათებთ და შესაძლოა, უხეშობაც გამოავლინონ მაშინ, როდესაც ქართველები უფრო მოთმინებითა და თავმჯავებით გამოირჩევიან. საქართველოში ყოფნის განმავლობაში არც ერთ უარყოფით მომენტს არ შევხვდებოვარ – არც სტუდენტებთან, არც კოლეგებთან და არც ქუჩაში შემთხვევით გაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას. ანდენად, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართველი ხალხი გამორჩეულად მაღალი ადამიანური კულტურით გამოირჩევა. აქ ყოფნა ძალიან მიყვარს. უფრო მეტიც, საქართველოში ყოფნის მხოლოდ სამი თვის შემდეგ უკვე მივმართე ნერილობით ვაშინგტონს (D.C.) თხოვნით, რომ მომდევნო წელს დაბრუნების შესაძლებლობა მომცენ. ჩემი სურვილია, კვლავ ახალციხეში ვიმყოფებოდე და არა თბილისში ან ბათუმში, რადგან სწორედ აქ ვგრძნობ თავს განსაკუთრებით კომფორტულად.

– როგორი სტუდენტები გყავთ? როგორ შეაფასებდით მათ?

– 10-დან 10 ქულას დავწერდი! ამაზე ვესაუბრე ჩემს რეგიონულ ინგლისური ენის ოფიცერს, რომელიც თურქეთშია დაფუძნებული. კავკასიის რეგიონში მომუშავე ბევრ „ფელოუს“ აქვს კარგი ურთიერთობა სტუდენტებთან,

თუმცა, მათგან ბევრი დიდ ყურადღებას არ აქცევს სამინიშნო დავალებებს. მე ჩემს სტუდენტებს ვაძლევ სამინიშნო დავალებებს და სწორედ ამით ვზომავ ჩემს წარმატებას, იმის მიხედვით, თუ რამდენი დავალება მხვდება ჩემს ელექტრონულ ფოსტაზე. შემიძლია ვთქვა, რომ ყველა ჩემს ჯგუფში სტუდენტების 95% ასრულებს სამინიშნო დავალებას. ისინი მივზავნიან დავალებას ზუსტად იმ ფორმატით, როგორც მე მინდა. ეს რთულია, მაგრამ მათ სტრუქტურას ვაჩვენებ და ვფიქრობ, რომ სტუდენტებმა ეს მიდგომა კარგად მიიღეს. ამიტომ, ჩემს აქაურ სტუდენტებზე ძალიან მაღალი წარმოდგენის ვარ და კვლავ ვიმეორებ, ამას მხოლოდ ინტერვიუსთვის არ ვამბობ, ძალიან გულწრფელი ვარ. ჩემი სტუდენტები ნამდვილად საუკეთესოები არიან მათ შორის, ვინც კი ოდესმე რომელიმე ქვეყანაში მყოფი. ბევრ ისეთ ქვეყანაში მიმუშავია, სადაც, როგორც პროფესორს, შეიძლება გქონდეს ერთი ან ორი ისეთი ლექცია, რომელზეც ნასვლაც არ გიხარია. თუმცა, ყოველ დღე, როცა ამ უნივერსიტეტში შემოვდივარ, ძალიან ბედნიერი ვარ ჩემს სტუდენტებთან ყოფნით.

საქართველოში ყოფნის განმავლობაში მრავალი დადებითი

– საქართველოში 2025 წლის 15 სექტემბრიდან ვარ. დიდი სიამოვნებით ჩამოვიდოდი შეგებულებით და თან ჩამოვიყვანი ჩემს შვილებს, რადგან ვფიქრობ, რომ ეს გამოცდილება მათთვის ძალიან სასარგებლო იქნება. ჩემი ცოლი უკვე იყო ჩამოსული და ძალიან მოეწონა აქ ყველაფერი. განსაკუთრებით მოეწონა ქართული კერძები. ის ჩემს ერთ-ერთ მეცადინეობასაც დაესწრო და გაკვირვებული დარჩა სტუდენტთა აქტიურობით და ცოდნით. სხვათა შორის, უნდა ჩემი მეუღლეც მასწავლებელი იყო და თავისი მუშაობის მანძილზე ნამდვილად არ ჰქონია ასეთი კარგი გამოცდილება. ამიტომ, როცა ის ჩემს ლექციას აკვირდებოდა, ძალიან გაოცებული და თან კმაყოფილი დარჩა.

– სწავლების გარდა, რა არის თქვენი საყვარელი ჰობი ან აქტივობა?

– ჩემი საყვარელი ჰობი გოლფის თამაშია. ამიტომ ვცდილობ, ხშირად ჩავიდე თბილისში გოლფის სათამაშოდ. კიდევ ერთხელ ვიტყვი, ახალციხეში უფრო კომფორტულად ვგრძნობ თავს, ვიდრე დიდ ქალაქში. თბილისში ადამიანს გვერდით ჩაუვლი და არ ესალმები, არც უღიმი. უბრალოდ მენი საქმით ხარ დაკავებული. აქ კი, ახალციხეში, როცა ქუჩაში დადიხარ, ადამიანებს უღიმი.

ჭირდეს პროფესორს, რომელიც პირდაპირ შეერთებული შტატებიდან ჩამოვა და შეეცდება მოერგოს არსებულ სიტუაციას.

– რა რჩევას მისცემდით ახალგაზრდებს ინგლისური ენის უკეთ შესასწავლად?

– ჩემი აზრით, ინგლისურის უკეთ შესასწავლად საჭიროა ტექნიკური რაოდენობის მეტი გადაცემების ყურება ინგლისურად, რაც შეიძლება მეტი სიმღერის მოსმენა ინგლისურად და ყოველდღიური ცხოვრების, ასე ვთქვათ, ინგლისურ ენაზე გატარების მცდელობა. გასოვლედ, როცა ინგლისურს როგორც მეორე ენას სწავლობთ, აუცილებელია ენაში „ჩაფლობა“. არ შეიძლება კვირაში ერთხელ, ორჯერ ან სამჯერ მხოლოდ ერთი საათით სწავლობდეთ ენას და გქონდეს მოლოდინი, რომ თავისუფლად ისაუბრებ ამ ენაზე. საჭიროა ინგლისურის ინტეგრირება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მე ვარ ის ადამიანი, რომელმაც მეორე ენა, იტალიური ამ გზით ისწავლა. დიას, იტალიური „SpungeBob“-ის ყურებით ვისწავლე. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვამბობ, მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმების ყურება ან სიმღერების მოსმენა ინგლისურ ენაზე ნამდვილად დაგეხმარება ინგლისურად უკეთესად საუბარში.

– ისწავლეთ თუ არა ქართული სიტყვები?

– ვერ ვიტყვი, რომ ვისწავლე, თუმცა, ვცდილობ. ჩემთვის ძალიან ძნელია ქართული სიტყვების წარმოთქმა, ასე ვთქვათ, ჩემი სამეტყველო აპარატი ვერ მუშაობს „ქართულად“. ჩემთვის ძალიან რთულია ისეთი სიტყვების თქმაც კი, როგორცაა „ხინკალი“, „ახალციხე“... მაგრამ ხშირად ვიყენებ „Google Translate“-ს, მისი მეშვეობით ვისწავლე სიტყვები „მადლობა“, „გამარჯობა“, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის სიტყვებია, რომლებსაც საჭმლის შესაკვებად ვიყენებ: „ოსტრი“ და „მწვადი“ (იციინის).

– რა არ მოგწონთ საქართველოში, ახალციხეში ან ჩვენს უნივერსიტეტში?

– სიმართლე გითხრათ, ყველაფერი მომწონს. თითქმის ყველგან ვპოულობ რაღაცას, რაც არ მომწონს, მაგრამ აქ გვერდით აღმოვაჩინე „საქართველოს ავიანაზების“ გარდა. უბრალოდ მათთან ტელეფონზე საუბრისას ლოდინი მინეებს და ბოლოს ყოველთვის მითიშავენ. (იციინის).

– ადამიანის ხასიათში რა არის მთავარი, რომ წარმატებას მიაღწიოს?

– ვფიქრობ, არსებობს სამი ძირითადი თვისება, რომელიც ადამიანს წარმატებისთვის სჭირდება. პირველი, ყოველთვის დადებითი განწყობის შენარჩუნება, მიუხედავად ჩვენს გარშემო არსებული უარყოფითის. ცხოვრება აღმართ-დამართების განმავლობაში დადებითი გეგმების შედგენა და ამას ჩემს სტუდენტებს პირველივე ლექციაზე ვეუბნები: ნუ გაამახვილებ ყურადღებას ცხოვრების რთულ მომენტებზე, ყურადღება გაამახვილეთ დადებითზე. გასოვლედ, და ვიცი, ეს ბევრჯერ გეპინებათ მოსმენილი – არაფერი გრძელდება სამუდამოდ. ასე რომ, გჯეროდეთ, რაც არ უნდა ცუდი დღე გქონდეთ დღეს, ხვალ ახალი დღეა და ის უკეთესი იქნება. ასევე, არასდროს შეწყვიტოთ სწავლა და ყოველთვის გქონდეთ კარგი პრინციპები და მორალი. თუ კარგი ადამიანი ხართ, კარგი ამბებიც მოხდება თქვენს ცხოვრებაში. მე გულწრფელად მჯერა, რომ სიკეთე უნდა დაჯილდოვდეს და ის აუცილებლად დაჯილდოვდება.

– მადლობა, მისტერ ვი, ძალიან საინტერესო საუბარი შედგა. წარმატებებს გისურვებთ მომავალში.

– მადლობა თქვენ. მთელი გულით, ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ. იმედი მაქვს, დაგამახსოვრდებით.

თათია მსხვილიძე ინგლისური ფილოლოგიის მე-2 კურსის სტუდენტი



**სამი** წელი გავიდა. სიტყვიერად ეს მარტივად უნდა იყოს, მაგრამ ამ სამ წელში იმდენი განცდა, გამოწვევა და დუმილი ჩაეჭრა, რომ ზოგჯერ თვითონაც მიკვირს, როგორ გავიარეთ ეს გზა. აფხაზური ცენტრი ჩემთვის არ ყოფილა მხოლოდ იდეა ან ორგანიზაცია. ეს იყო პასუხისმგებლობა, რომელიც ყოველდღე მაძლევდა ძალას და ამავე დროს მახსენებდა, რომ ვცოცხლობ.

იყო დღეები, როდესაც ცენტრში შევიდოდი და საკუთარ თავს ვეკითხებოდი: გამოიწვევა კი ყველაფერი? გავაკეთებ ყველაფერს სწორად? იყო მომენტები, როდესაც პასუხისმგებლობის სიმძიმე მარტოობას ჰგავდა, როდესაც გადამწყვეტილებებს იღებ, მაგრამ ემოციურად მარტო ხარ. იყო დღეები, როდესაც ვფიქრობდი – ხომ არ ვალაღატობდი საკუთარ თავს ამ დალილობით, ამ გამუდმებული ფიქრისა და ახლის ძიების რეჟიმით?!

ჩემს მეხსიერებას სიცოცხლის ბოლო წუთამდე დარჩება

## სახლი, რომელიც კედლებით არ იწყობა აფხაზური ცენტრის აზრით

ის საღამო, რომელმაც სულ სხვა ადამიანად მაქცია. ცენტრი უკვე დაცლილი იყო, შუქი კვლავ ენთო. მაგიდაზე გაფანტული ქაღალდები, რომელზეც სცენარი და კვირის გეგმა ეწერა, იმ დალილობას ასახავდა, რომელსაც სიტყვები ვერ გადმოსცემს. დიდი ღონისძიებისთვის ვემზადებოდით და გადაწყვეტიტე, ყველაფერი საუკეთესოდ მოგვემზადებინა. ცენტრის ყველა წევრი გაეშუქა, ვთხოვე, ძალები მოეკრიბათ... სკამზე ჩამოვჯექი. პირველად, გულწრფელად ვუთხარი საკუთარ თავს: „თუ ახლა გავჩერდები, გამიგებს ვინმე?“ იმ წამს ტელეფონი აინთო. შეტყობინება ცენტრის წევრიდან: „რიმა, შეიძლება ხვალ მოვიდეს? ცენტრში უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს, ვიდრე სახლში. მანდ ყველაფერი გამომდის, სახლში – არაფერი.“

ამ ერთმა შეტყობინებამ ჩამომინგრია ყველა კედელი, რომელიც ეჭვმა და დალილობამ ამიშენა. მივხვდი, ეს ადგილი აღარ იყო მხოლოდ აფხაზური ცენტრი, ეს იყო ადამიანებისთვის საჭირო სივრცე. სახე გამეზარდა და, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. იმ ღამის შემდეგ ცენტრს გასაღები არასდროს ვკეტავთ. ვიცი, ყველა ახალგაზრდის სულისა და გულის ადგილია. ვიცი, როგორი სიმშვიდის მომტანია აფხაზური ცენტრის შთამბეჭობელი სივრცე. იქნებ ვერ მოვახერხო ზუსტად მაშინ გავალო ცენტრის კარი, როდესაც ახალგაზრდას სჭირდება იქ ყოფნა; ან იქნებ რამდენი ახალგაზრდის

მამოტივირებელი ადგილია ის, რომ თავდაც არ ვიცი ამის შესახებ! ჰოდა, ჩვენი ცენტრის კარი მუდამ ღიაა (პირდაპირი გაგებით და ისეც).

ბევრს ვსაუბრობთ ენთუზიაზმზე, მონდომებაზე, რომ ენგურს იქით მცხოვრები ადამიანების ჩახუტება, გაცნობა, მათთან საუბარი უმთავრესი და ყველაზე სასურველია. ეს გარდაუვალია. იცით, ჩვენ გვწამს იმ გულწრფელი ემოციებისა და ძალიან ნამდვილი გრძობების, რომელიც ცენტრის თითოეულ წევრს გვამოძრავებს. რა თქმა უნდა, ახალი ფურცლიდან დაწყება მარტივი არაა და ამას ყველანი ვიზიარებთ.

აფხაზური ცენტრი წრფელ ემოციებთან ერთად დაიბადა. იყო მომენტები, როდესაც სიტყვები უფრო გეტკვნდა, ვიდრე წინააღმდეგობები, მაგრამ სწორედ ამ ტკივილში ჩამოყალიბდა ჩვენი ღირებულებები: ურთიერთპატივისცემა, დიალოგის რწმენა და პასუხისმგებლობა ერთმანეთის წინაშე. ვისწავართვით, რომ ერთობა სხაურობით კი არა, ერთმანეთის მოსმენით იქმნება.

ამ გზაზე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ ადამიანების მხარდაჭერა, ვინც მტკიცედ გვიდგას გვერდით. არ დავილევთ ამ მჭიდროდ ადამიანებისთვის ამ დედობის თქმით. ის ემოცია, იმედი და მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია. იცით, მეხუთე წელია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მქვია და ყველა წარმატება, ფეხზე მყარად წამოდ-

გომა და სიკეთის სიყვარული ამ ადგილმა მასწავლა. ჩვენი ცენტრის ყველაზე აქტიური, მოსიყვარული და გაუტყეხელი წევრიც ამ უნივერსიტეტის ჯადოსნურ ძალას დიდი ხანია ხედავს. მისი მხარდაჭერა არასდროს ყოფილა მხოლოდ ფორმალური. ეს იყო მუდმივი მზრუნველობა, ნდობა და რწმენა, რომ ახალგაზრდული იდეები იმსახურებს სივრცეს, განვითარებას და მხარდაჭერას. ნებისმიერ დროს, როდესაც გვჭირდებოდა დახმარება ან უბრალოდ – სიტყვიერი გამხსნევა, ის ჩვენ გვერდით იდგა. რომელი საათიც უნდა იყოს, რაც უნდა გვჭირდებოდა, რაოდენ გადაუდებელი საქმეც უნდა მქონდეს, სტუდენტები და ახალგაზრდების მხარდაჭერა მისთვის უპირველესია. როდესაც ვსაუბრობთ აფხაზური ცენტრის საქმიანობასა და გამომწვევებზე, მიზნებასა და ქმედებებზე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ქალბატონი მაკა ბერიძე მთავარი შემოქმედი, მშვიდობისა და ერთობის სულის მეგობარი. იცნობდეთ აფხაზური ცენტრის რეალობას. ესაა ჩვენი ყოველდღიურობა.

როგორც აფხაზური ცენტრის თავმჯდომარე, ამ სამ წელს ვატარებ გულით. ეს იყო გზა, რომელმაც მასწავლა სიმტკიცე მაშინ, როდესაც ემოციები გძლევს, რწმენა მაშინ, როდესაც პასუხები არ გაქვს, ადამიანების დაფასება მაშინ, როდესაც ისინი ჩემად გიქცევენ მხარს. ახლა ამას ვიღებ ბედნიერი გეტყვი, რომ აფხაზური ცენტრი „მესხი ახალ-

გაზრდები ერთობისთვის“ ყველა კითხვის სწორი პასუხის, ერთობის, მშვიდობის, უანგარო სიყვარულისა და საუკეთესო ადამიანური ემოციების შემოქმედი. დღეს ჩვენი ყველა ოცნების გვწამს! ახლა ვიცი, რომ ერთობა გარდაუვალია! დღეს დარწმუნებული ვართ ახალგაზრდული შემართების ნაყოფიერებაში! ახლა ახალგაზრდების ჯერია!

სამი წელი გავიდა, მაგრამ ეს გზა დასრულებული არ არის. ახლა უკვე ვიცი, ჩვენ მარტო არ ვართ. აფხაზური ცენტრი არის ადგილი, სადაც ადამიანები საკუთარ ხმას პოულობენ და სადაც ეს ხმა ყველასთვის გასაგონი ხდება.

უკვე სამი წელია, რიმას დიდი, ნითელი, სანიშნებიანი ჩანანეების რვეული იზიარებს უამრავ ემოციასა და გეგმას, სურვილსა და ოცნებას აფხაზური ცენტრის მომავლისა და სამყაროს სასიკეთო ცვლილებების შესახებ. სამი წელია, განუწყვეტლივ იწერება ამ რვეულის ფურცლებზე მუქი ნითელი კალმით. იცით, რატომ მუქი ნითელი? ყოველ ჯერზე, როდესაც გადახედავს რიმა ამ ჩანანეებს, ზუსტად ამაზროს, რომ რომელიმე სურვილი კი არა, უკლებლივ ყველა აზრი უმთავრესია და ყველა მათგანი აუცილებლად ახდება!

მე ღრმად მწამს საოცნებო ერთობის. იცით, რატომ?! სამი წელია, რიმას დილა აფხაზურ ცენტრში წასვლით იწყება. სამი წელია, ჩემი ოთახის ფანჯრიდან, წელიწადის ყველა დროს, მომლიმარი მზე ჩანს...

**რიმა სულაძე**  
ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი

**21-ე საუკუნეში** ინტერნეტი დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან უამრავ ადამიანს აძლევს წვდომის შესაძლებლობას ინფორმაციაზე თუ ინოვაციაზე. თანამედროვე სამყაროში სოციალური ქსელი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ის არა მხოლოდ დროის სასიამოვნოდ გატარების საშუალებაა, არამედ ინფორმაციის, განათლებისა და თვითგამოხატვის საუკეთესო გზაცაა. ყოველდღიურად მილიონობით ადამიანი იწყებს დილას სოციალური ქსელით, რაც ნათლად აჩვენებს მის გავლენას ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

ციფრულ სამყაროში სოციალური მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის განვითარებაზე, ხელს უწყობს კომუნიკაციის გამარტივებას, რადგან სწორედ ტექნოლოგიური პროგრესის საშუალებით ადამიანები სხვადასხვა ქვეყნიდან და ქალაქიდან მარტოვად უკავშირდებიან ერთმანეთს, უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ემოციებსა და სიხალისეებს. გარდა ამისა, სოციალური ქსელი გვაძლევს განათლებისა და თვითგანვითარების შესაძლებლობას, რადგან ხელმისაწვ-

## სოციალური ქსელი და ჩვენი ყოველდღიურობა

დომია მრავალი სასწავლო მასალა, საინფორმაციო გვერდი და რესურსები.

სოციალური ქსელი ამარტივებს ინფორმაციის სწრაფად მიღებას. ახალი ამბები, საზოგადოებრივი მოვლენები და მნიშვნელოვანი სიახლეები მყისიერად ვრცელდება. ამასთან ერთად, ის ხელს უწყობს ადამიანების თვითგამოხატვას, საკუთარი აზრის თავისუფლად დაფიქსირებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას. ბევრისთვის სოციალური ქსელი პროფესიული განვითარებისა და კარიერული შესაძლებლობების წყაროც გახდა. ჩნდება ახალი პროფესიები, რომლებიც შრომით ზეზარზე დიდი პოპულარობით სარგებლობს, მაგალითად სოციალური მედია-მარკეტინგის პროფესია მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადია.

ონლაინ სივრცის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის ადამიანების დაახლოება. მისი საშუალებით შესაძლებელია მეგობრებთან და ახლობლებთან

მუდმივი კავშირი, მიუხედავად მანძილისა. გარდა ამისა, სოციალური ქსელი ხელს უწყობს სხვადასხვა თემაზე ცოდნის გაღრმავებას, ახალი უნარების შესწავლას და საკუთარი ინტერესების განვითარებას.

მიუხედავად ამისა, სოციალური ქსელის გადაჭარბებულმა გამოყენებამ შესაძლოა ნეგატიური შედეგები გამოიწვიოს, ახლავს გამოწვევებიც. ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანები რეალურ ცხოვრებაში ურთიერთობას ვირტუალურ კონტაქტებს ანაცვლებენ. ასევე, სოციალურ ქსელში ხშირად ვხვდებით არასწორ ან რეალობასთან შეუსაბამო ინფორმაციას, რაც მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნის. ზედმეტმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს დროის არაბეზობრივი განწილვა, ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითება. ასევე, ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანები სოციალურ ქსელში თავს სხვებს ადარებენ, რაც ნეგატიურად მოქმედებს მათ თვითშეფასებაზე.



გონივრული მიდგომა სოციალური ქსელის გამოყენებისას დეციაბელია. მნიშვნელოვანია დროის კონტროლი და ინფორმაციის გადამოწმება. თუ ადამიანი პასუხისმგებლობით, გააზრებითა და კრიტიკული თვალით მიუდგება სოციალურ ქსელს, ის ხელს შეუწყობს როგორც პირველად, ისე საზოგადოებრივ განვითარებას.

ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ ადამიანები ზედმეტ დროს ატარებენ ვირტუალურ სივრცეში, რაც რეალურ ურთიერთობებს ასუსტებს. გარდა ამისა, არსებობს დამოკიდებულების საფრთხე, რადგან ადამიანი ვერ

აკონტროლებს სოციალურ ქსელში გატარებულ დროს. ზოგჯერ არასწორი ინფორმაცია, კიბერბულინგი და პირადი ცხოვრების ხელყოფაც სერიოზულ პრობლემად იქცევა. მნიშვნელოვანია, რომ სოციალური ქსელი გონივრულად გამოიყენოთ. ამისთვის საჭიროა დროის სწორად გადანაწილება და კრიტიკული დამოკიდებულება მიმართული ინფორმაციის მიმართ. უნდა გვქონდეს განსაზღვრული დრო და მიზანი, რისთვისაც მათ ვიყენებთ. ამ გზით შევძლებთ, თავიდან ავირიდოთ უარყოფითი შედეგები და მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი.

თუ ჩვენ შევძლებთ ბალანსს დავცვათ ვირტუალურ და რეალურ ცხოვრებას შორის, სოციალური მედია გახდება საჭირო და შეუცვლელი ჩვენი ყოველდღიურობისთვის.

ამრიგად, სოციალური ქსელი დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ის შეიძლება იყოს როგორც განვითარების, ისე პრობლემების წყარო. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ და რა მიზნებით ვიყენებთ მას.

**ანა პერიძე**  
იურიდიული ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი

**ცოდნა** არის ის ძალა, რომელიც ადამიანის ცხოვრებას მართულუბას აძლევს და საზოგადოებას განვითარების გზაზე აყენებს. იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ თეორიული ინფორმაციის მიღებით. ცოდნა არის აზროვნების უნარი, პასუხისმგებლობის გაცნობიერება და მუდმივი განვითარების სურვილი.

დღევანდელ რეალობაში განათლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს იყოს დამოუკიდებელი, ინფორმირებული და თავისუფალი საკუთარ არჩევანში. განათლება აყალიბებს პიროვნებას, ზრდის თვითშეფასებას და ქმნის შესაძლებლობებს უკეთესი ცხოვრებისათვის. ამიტომაც მნიშვნე-

## ცოდნა, რომელიც მოგაპალს ქმნის

ლოვანია, საზოგადოებამ გააცნობიეროს, რომ განათლება არ არის ფუფუნება, იგი აუცილებლობაა. როგორც მომავალი პედაგოგი, ვთვლი, რომ განათლება ყველაფერია. სწორედ ამიტომ ვცდილობ მუდმივ განვითარებას, ცოდნის გაღრმავებასა და თანამედროვე მიდგომების შესწავლას, რათა მომავალში შევძლო მოსწავლეების მხარდაჭერა და მათში სწავლის სიყვარულის დანერგვა. მჯერა, რომ თითოეულ მოსწავლეს აქვს უნიკალური შესაძლებლობა და პედაგოგის ამოცანაა, ამ შესაძლებლობების აღმოჩენა და გაძლიერება.


ამასთან ერთად, კარგად ვიცი, რამდენად რთულია ცხოვრე-

ბისეული სხვადასხვა როლის შეთავსება. მუშაობა, ოჯახი, დედობა და სწავლა ხშირად დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მეც დედა ვარ და საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რამდენად რთულია ყველაფრის ერთმანეთთან მორგება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძალიან გინდა სწავლა და განვითარება, მაგრამ დროისა და რესურსების ნაკლებობა ხელს გიშლის. ასეთ დროს მარტივია დანებება, თუმცა, სწორედ აქ არის ყველაზე მნიშვნელოვანი – არ გაქვრდე.

განათლების გზა ყოველთვის მარტივი არ არის, მაგრამ მას ღირსეულ შედეგამდე მიჰყავს ადამიანი. ამიტომ მინდა გავამხენ-

ვო ყველა, ვინც ამ სირთულეებს აწყდება, არ დანებდეთ! თუნდაც წელი ნაბიჯებით, მცირე შესაძლებლობებით, სწავლა და თვითგანვითარება მაინც ძალას იძენს. ყოველი მცდელობა მნიშვნელოვანია და საბოლოოდ სწორედ ეს ძალისხმევა ქმნის მომავალს.

განათლება მხოლოდ ინდივიდის წარმატებას არ ემსახურება, იგი საზოგადოების განვითარებისა და ქვეყნის წინსვლის საფუძველია. განათლებული საზოგადოება ქმნის ძლიერ სახელმწიფოს, სადაც ფასდება შრომა, ცოდნა და ადამიანური ღირებულებები. ამიტომ, ცოდნა ის ძალაა, რომელიც მოგაპალს ქმნის და ეს მომავალი ჩვენს ხელშია.



**დინა ლვალაძე**  
დანყებთი განათლების მასწავლებლის მომზადების პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი



მარიამ საანთვილი ინგლისური ფილოლოგიის მე-3 კურსის სტუდენტი

ვდუმვარ და ვერვარ, საით მივდივარ, რა ამბავს ვყვები, ვდუმვარ და ვერვარ, ვდუმვარ და ვერვარ...

მსხვერპლი

კვლავ მეძებს ქარი, აღრეულ სულში რომ მეცეს მძაფრად, კვლავ ქარიშხალი, გონებას მირევს, სიმშვიდეს ფანტაქს. კვლავ ქარიშხალი, სხეულზე ლაქებს კოპლებად მასვამს, კვლავაც დამტყნარი, სიცოცხლის მოხელს, სიკვდილი მნათლავს. ნეტავ სად არის გზა, მე რომელიც არ გამივლია, ნუთუ იქ არის, კაცი მართალი, სადაც ბინდია?! რატომ არ მესმის, ხმა უვიწყარი, ჩემგან ეული, რატომ არ ვიცი, გულში ვინ ფარა მალვით გრძნეული. მან დამივიწყა, ვისაც ბორკილი ხელზე აბია, მან მილალატა, ვისაც „ლოცვები“ ფარად არგია. მსხვერპლად მაქციეს, კვლავ უკუაგდეს დიდება ჩემი, მითხრეს, უმსხვერპლოდ ვერ აღიგვება მუდმივი მტერი. და თუ ასეა, მე ვერ მიმსხვერპლებს ცოდვილი თავად, მხოლოდ მნამს უფლის, მის მართალ სიტყვას სიწმითი ფვარავ.

ვდუმვარ და ვდუმვარ, კვლავ სიწმითი მეცვალა ფერი, სადაც ხმაური ღრიალებს უხმოდ, სულის სიმშვიდეს არლარა ველი. ვდუმვარ და ვდუმვარ, საბრძოლო ველზე იმარჯვებს მტერი, „უცნაურობის“ სენი შემყრია, ტკივილს დავნებდი მრავალი წელი. ვდუმვარ და ვერვარ, გზააბნეული ვერავის ვეტრფი, სასურველ ვარდასაც ვკლვიან ვკვრია, გზა გაუვლილი ბედია ჩემი. ვდუმვარ და ვდუმვარ, უკანასკნელად გამიშვეს ხელი, სარკის წინ ვდგავარ, არარა მკურნავს, ღამის კომპარში ვილადა მღერის. ვდუმვარ და ვდუმვარ, მთების სიმკაცრე არასდროს მინდობს, მიუვალა თეთრი ბილიკი, მზის ამოსვლისას შენდობას ვითხოვ.

ასე მარტივად გავიფიქრე! გვერათ? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, თქვენ რისი გვერათი. აქ ხომ ჩემი ისტორიაა მთავარი. ის ყველამ იცის, რომ კლოუნად არ გვეჩენილვარ, არც ბუშტის თავი მქონია დაბადებიდან თანდაყოლილი, ან არ ვიცი, შეიძლება მქონდა, მაგრამ ამის შესახებ არავის უთქვამს. ეს მოკლე ისტორია მოგვითხრობს ერთ პატიმარზე, თუ როგორ იქცა იგი კლოუნად და როგორ გახდა საკუთარი საკნის მსხვერპლი სრულ თავისუფლებაში.

გავიქული! (ჩანახატი)

შევკერე საკუთარი საპატიმრო სახლის და როგორ აღმოვჩნდი იქ, სადაც არავინ მელიდა. ჩემი შემქმნელი არ მამლევს უფლებას, ბევრი ვი-საუბრო, ჩემი ქვიშის საათი უკვე ამოტრიალდა, ამიტომ, რასაც მოვასწრებ, მოგიყვებით.

მე ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი, ყოველგვარი სპირალური თვალების, ბუმბუად გქეული თავისა და მომრგვალებული ცხვირის გარეშე. ისე მოხდა, რომ ერთ დღეს გავუცხოვდი ყველაგან და ყველაფრისგან, ღრმა ეჭვებმა ორად გამხლიჩა, ვეღარ ვარჩევდი სიტყვებსა და ჭეშმარიტებას ერთმანეთისგან. ამან კიდევ უფრო ჩამითრია, უნდობლობამ და გულგრილობამ შემიპყრო, ბრაზმა ჩემი ყოველგვარი ემოცია გადააფარა და, საბოლოოდ, სასონარკვეთილების ფონზე, ვილაცამ საკნის კარები გასაღებით გადაეკეტა. ასე აღმოვჩნდი ოთხ კედელს შუა, ერთი ნითელი ბუშტის ანაბარა, რომელიც, კარგად ვიცოდი, დიდხანს ვერ ძლებს, ბოლოს მაინც სკდება ან იჩუტება. ასე რომ, მხოლოდ მე და მე დავრჩით. ასე ხდებოდა, როდესაც საკუთარ თავს კარგავს ადამიანი, ის ან ჯვამბაზად, ან ცხოველად, ან, უბრალოდ, ილუზიად იქცევა. ჯამბაზობასაც აიტან, ცხოვე-

ლიც იქნები, ყოველ შემთხვევაში, „გადარჩები“, ისედაც ბევრი ჯამბაზი და ცხოველი დაიარება დედამიწაზე, მაგრამ აი, ილუზია ყველაზე ცუდი რამაა, ილუზია თვითმკვლელობაა, იგი ავიწყებს; განა მე უმიზეზოდ გითხარით დასაწყისში, რომ გავიქული?

ყოველი ადამიანი მსხვერპლია სიცრუის, საკუთარი თუ სხვის მიერ შექმნილის, მაგრამ მეტად საშიში თვითილუზიაა, რეალობის უგულვებელყოფა და თვითდაჯერება. ამის შემდგომ ხშირად იქცევა ხოლმე ნარსულის ილუზია მომავლის სიმართლედ. ეს ხომ გონების თამაშია. ასე დამემართა მეც. ასე უნდა დამმართოდა, ალბათ. არ ვაპროტესტებ, ჩემს შემქმნელს ვერ გავუწინააღმდეგობა მისივე ფიქრებში, როდესაც ჩემი ისტორიას წერდა, როდესაც თვალები კლაკნილი სპირალებით ამომივსო. არ ვწუნუნებ, უბრალოდ, ჩემი შემქმნელის მოტივებს ვაცნობთ. იქნებ, გადარჩეთ.

შემომხედეთ და კარგად დამაკვირდით, რას ხედავთ? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, თქვენ რას ხედავთ; მე ვერ დავინახე და გადავარჩინე საკუთარი თავი იმ დროს, როდესაც ცაიტროტმი ვიყავი... ახლა თქვენი სვლაა, ნუ იჩქარებთ... ჩემს შემქმნელს კი მადლობას ვუხდით, ალბათ, მისი მხრიდან ჩემი განიხილვა მიზნობრივია, ალბათ, ჩემი განიხილვის სხვა მრავალს გადაარჩენს...

„სილაგაზე თვალს ატყვივებს, სული კი გულს“

რადმილა ჩარანიძე ინგლისური ფილოლოგიის პირველი კურსის სტუდენტი

– ენერგიით, შვილო. ადამიანს თავისი ენერგია მუდამ თან დააქვს. შენგან საოცარი სინათლე ვიგრძენი. მისმა სიტყვებმა ღრმად ჩამაფიქრა. – ეს ხომ საოცრებაა... – ასე მეგონა მეც. – გალიმა. – მაგრამ ეს უბრალოდ უფლის ნაბოძები უნარია. როცა თვალთ ვეღარ ვხედავდი, სამყარო დიდ სიბნელედ მეჩვენებოდა, გონებაშიც სიცივედ და მარტოობამ დაიდო ბინა. თავიდან მეგონა, რომ ყველაფერი დასრულდა, მეგონა მხედველობასთან ერთად სიცოცხლესაც დევმეშვიდობე, მაგრამ ნელ-ნელა ამ სიცარიელეში დაკარგული საკუთარი თავი ვიპოვე, ვიპოვე ის, რასაც ხილული თვალთ ვერასდროს შევძლებდი. – რას გულისხმობ? – ადამიანების სული დავინახე, შვილო. სულის სინათლე, რომელიც გაცილებით ძვირფასია, ვიდრე ნებისმიერი თვალთ ვხედავთ. ამბობენ, თვალები სულის სარკეაო, მაგრამ ხშირად სწორედ თვალები გვაშორებს ჭეშმარიტებას. უკვე თხუთმეტი წელია მხოლოდ ჩემს გულსა და სულს ვენდობი. ჩემს საყვარელ ყვავილებს ვერ ვხედავ, მაგრამ მათ სურნელს ვგრძნობ. ადამიანის სახეს ვერ ვხედავ, მაგრამ გულწრფელობას ვარჩევ. ახლა მხოლოდ ცასა და ვარსკვლავებს ვხედავ, რომლებიც აქამდე თითქოს არც არსებობდნენ. მივხვდი, როგორი ფუჭია მატერია. ჩემს გარშემო მხოლოდ ნამდვილი ადამიანები დარჩნენ, ისინი, ვინც იციან, რომ დაცემულს ნამოდგომში ფიზიკურად ვერ დავუხმარებ, მაგრამ სიტყვიერად მუდამ მათ გვერდით ვიქნები. – არ გეხატრებათ საყვარელი ადამიანების დანახვა? – იცი, თუ აქამდე მათში ფიზიკურ ნაკლებობებს ვხედავდი, ახლა ყველაზე მეტად მელამაზობები ჩემი უახლოესი ადამიანები. ჩემს გონებაში გაზაფხულის ფარად გავცავილდნენ. მე ვამჩნევ, რა არის ნამდვილი ადამიანობა. ის უბრალოებაში იმალება, სითბოში, სიტყვებში, გულწრფელ ღიმილში... როცა იცი, რომ შენგან არაფერია ელიან... და მიუხედავად იმისა, რომ ვეღარ ვხედავ მათ ღიმილს, ხმაში ვგრძნობ ყველაფერს. მეშინია კიდევ, ოდესმე თუ თვალები ამეხილება, რაოდენ საშინელი შესახედი იქნება მი-

რამ მათ სურნელს ვგრძნობ. ადამიანის სახეს ვერ ვხედავ, მაგრამ გულწრფელობას ვარჩევ. ახლა მხოლოდ ცასა და ვარსკვლავებს ვხედავ, რომლებიც აქამდე თითქოს არც არსებობდნენ. მივხვდი, როგორი ფუჭია მატერია. ჩემს გარშემო მხოლოდ ნამდვილი ადამიანები დარჩნენ, ისინი, ვინც იციან, რომ დაცემულს ნამოდგომში ფიზიკურად ვერ დავუხმარებ, მაგრამ სიტყვიერად მუდამ მათ გვერდით ვიქნები. – არ გეხატრებათ საყვარელი ადამიანების დანახვა? – იცი, თუ აქამდე მათში ფიზიკურ ნაკლებობებს ვხედავდი, ახლა ყველაზე მეტად მელამაზობები ჩემი უახლოესი ადამიანები. ჩემს გონებაში გაზაფხულის ფარად გავცავილდნენ. მე ვამჩნევ, რა არის ნამდვილი ადამიანობა. ის უბრალოებაში იმალება, სითბოში, სიტყვებში, გულწრფელ ღიმილში... როცა იცი, რომ შენგან არაფერია ელიან... და მიუხედავად იმისა, რომ ვეღარ ვხედავ მათ ღიმილს, ხმაში ვგრძნობ ყველაფერს. მეშინია კიდევ, ოდესმე თუ თვალები ამეხილება, რაოდენ საშინელი შესახედი იქნება მი-

მიკვებს ამოფარებული ადამიანის დანახვა. ნეტავ, ადამიანებმა ერთმანეთის სული დავინახათ. როგორი მშვენიერი იქნება მაშინ სამყარო... მეტად გულწრფელი და სანდო... სილაგაზე თვალს ატყვივებს, სული კი – გულს. შენ კი, ჩემო ძვირფასო, – მითხრა ქალბატონმა, – იცოდე, უამრავ ადამიანს გაიცნობ, მაგრამ მხოლოდ ის დარჩება შენთან, ვინც შენს სულში ანთებულ სათნოებს დაინახავს. ნამდვილი ადამიანები სამუდამოდ რჩებიან. ნატურად მექცა ერთადერთი – ოდესმე კვლავ შექმნილ ხატებთან ერთმანებულ სანთლების დანახვა. მასსოვს, ბუნებრივად ბავშვობაში, თითოეულ საწინააღმდეგო თავისი ისტორია აქვსო. მაშინ ვერ მივხვდი, ეს რას ნიშნავდა. ახლა ვხედავ, რომ ზოგი სანთელს უკეთესი მომავლის იმედით ანთებს, ზოგი ცოდვების მოსანანიებლად, ზოგი ოცნებებისთვის, ზოგი სიყვარულის-



თვის, ზოგი კი დაკარგული ადამიანების სახელზე სამარადგამო სიცოცხლის იმედს. სწორედ, ანთებული სანთლების ხილვა მენატრება; მართალია, ახლა ეს ჩემთვის უნილავია, მაგრამ ხილული გახდა ის სინათლე, რომელიც ადამიანების გულში ანთია. უფალოც ხომ მხოლოდ ამ სინათლს ვხედავ... მდუმარე ტაძარში, ხატების წინ, იმედდ დაბნეული სანთელივით ღამაზა სუფთა სულის ადამიანი...



ანასტასია ნიკლაური სოფელ რუსთავის (ასპინძის მუნიციპალიტეტი) საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

ლებული ალი კედელზე თავის ბნელ სიმღერას მღერის. მოპირდაპირე მხარეს ალის რხევით ჩრდილი ცეკვავს. ის არ ეკუთვნის არც შენს სხეულს და არც მავიდას. ეს სხვა დროიდან შემორჩენილი ღანდია, რომელიც ისევ იმეორებს სხეულის კონტურებს. ხის კიბე, მარჯვნივ მხარეს, დაბლა იწევეს. საკმარისია ერთი ნაბიჯი, რომ ყველაფერი შეზანზარდეს, როგორც ფიქრი, რომელიც ბოლოდღე არ გამქარა და დაბრუნდება ვერ გაუბედავს. ფანჯრის რაფა სახსება მტვრით, რომელიც თოვლს ჰგავს, მზის სხივი რომ არასდროს შეხებია. გარეთ არაფერი ჩანს არა იმიტომ, რომ ბნელია, არამედ იმიტომ, რომ სახლმა შიგნით შემოიშრია, რაც გარეთ ვერ მოკვდა და ახლა იატაკზე ნელა იშურება მოლაქდაფე, ცრემლნარევი სისხლი, რომელიც ცეცხლის ალს ნახად ირეკლავს და საბოლოოდ ცხედები, რასაც ამ სახლში ვხედავ, არც ანწყობა და არც მომავალი, ეს უბრალოდ ის სიწმითეა, რომელსაც ყველა ადამიანი ატარებს და რომლისგან გაქცევა არ შეგვიძლია.

სიჩუმი

ქალაქში ღამე ვეშვება არა როგორც ბნელი ზეწარი, არამედ როგორც აბრეშუმივით მსუბუქი ფიქრი, რომელიც ქუჩებს აკლდამასავით ეხვევა. ლამაზობები მკრთალად ციმციმებენ, წვიმის წვეთები მინაზე სრიალებენ, თითქოს ცამ ცრემლები მინად იმ სივრცეს, სადაც არაფერია ელიან. და ამ სიჩუმი თვალთ დალილი ქალაქში არსებობს ადგილი, სადაც სინათლე გრძნობასავით ირეკლება წვიმის წვე-

თებში. ეს ბიბლიოთეკაა. იქ სუნი დგას, სუნი ფურცლის, რომელიც პირველად გადაიშალა, მელნის, რომელიც გულით დაინერა და დროის, რომელიც აღარ ბრუნდება, მაგრამ მაინც ჩერდება თაროს კუთხეებში. შიგნით ყველაფერს მტვერი ეფერება ისე, როგორც დედა საკუთარ შვილს. ნივნები ჩუმად სუნთქვენ. ფურცლები ოდნავ შრიალებენ, თითქოს გრძნობების ენით საუბრობენ, როგორც წერილები, რომლებიც არასდროს გაგზავნილა, მაგრამ მაინც ნაუკითხავს ვილაცხას. და ამ ყველაფრის შუაში ის ზის... სიჩუმე. არც ქარი, არც სიცარიელე, არც ლანდი და არც აჩრდილი, არამედ არსება, რომელიც დიდი ხნის წინ დავინწყებია საუბარო. სიჩუმე თაროს ფერს ჰგავს, ძველი მუხის ტონალობით ფარული, განასაზღვრული სიმშვიდით მოცული. მის სხეულს გაქვავებული ჟესტები აქვს, თითქოს არასდროს ინიძრევა, მაგრამ მთელი ბიბლიოთეკას მხოლოდ მისი შეხება ახსენებს თავს. იქ ზის, სადაც ყველაზე ნაკლებად დადიან, თაროებს შორის, სადაც ნივნებს ყველაზე მეტი სათქმელი დარჩენიათ. თითქოს იმ სიტყვებს კითხულობს, რომლებიც ვერ არ დანერია, მაგრამ გულის სიღრმეში უკვე შეუგრძენიათ არსებობის მწარე გემო. მის მწერაში მთვარის შუქი ირეკლება, ის შუქი, რომელმაც მთელი ქალაქი გვერდზე გადადო, რომ სწორედ აქ, სიჩუმესთან მოსულიყო. ღამე განაგრძობს მინაზე წვეთებით წერას. ფანჯრიდან შემოსული მთვარე მხოლოდ სიჩუმის გვერდზე ეცემა, როგორც მკრთალი მეგობარი, რომელიც თავისით ვერ ლაპარაკობს, მაგრამ სხვისი გრძნობებით ამბობს ყველაფერს. ბიბლიოთეკა აღარ არის კედლები და ნივნები. ის იქცა ჩარჩენილი ამოუწმებლად, რომელიც მხოლოდ მას ესმის, ვინც ნაკითხვის ნაცვლად გრძნობას იმასხორცებს. სიჩუმე არასდროს ილღება იქ ჯდომით, რადგან იცის ყველაფერი, რასაც კითხულობს, საბოლოოდ მაინც ერთ სიტყვამდე მიდის: შენ...

ნარსულის ბავიოზაში

შემთხვევით გასროლილი ერთი ტყვია... თითქოს პატარა, უმნიშვნელო, უსუსური. ის ერთი დაწყვეტილი ტყვია ამის ხელიდან გასროლილი, შვილის გულში. ტყვია, რომელმაც სიცოცხლე მოიპარა. შემთხვევა... ცრემლი გარეული სისხლი, შვილის გატყევილი გული... ბოლო სიტყვები, ყვირილი, დაცემა, ნითელი ტბა, მოგონებების ბოლო შვიდი წუთი, აკანკალებული ხელები, განადგურებული სული, ღრიალი... ერთი ტყვიით გახლეჩილი გული, შვილის უსიცოცხლო თავი მის ხელებში, ბოლო ჩახუტება, ბოლო შეგრძნება მისი სურნელის, თვალწინ ჩავლილი დღეები, გაშიშვლებული ხეები, შავი ღრუბლები, შემოდგომის სუსხი, ყვირთელ ფოთლებს შორის სისხლის გუბები გახვეული ორი სხეული, მაგრამ მხოლოდ ერთი სული, ერთი მოძაძავე გული, რომელიც თავისი თავისი საგულედან ამოგლეჯას ღამობს. დასერილი, ნაოჭიანი ხელი, სისხლში ამოსვრილი, ცოდვით დასვრილი, შვილის მკვლეელი ხელი. მათზე ჩამონოლილი ავი სულები და მათი ნისლი. მინაში სიმორთი ამოთხრილი შავი ორმო, გლოვა, გოდება... და შემდეგ იყო ბევრი წელი, მზის სხივის გარეშე; გისოსებს მიღმა ბევრი წელი ფიქრში, ტანჯვაში, მონატრებულ, სასონარკვეთილებში... ოო, რამდენი სტროფი დაუნერია შავად თეთრზე, რამდენი რამ უნანია, რამდენჯერ დაუნყევილი ის დღე, ის შემთხვევა, ის ტყვია. რამდენ-

სივრცე, რომელიც შენში ცხოვროვს

ნახევრად ჩამოღერდი კარს ვუახლოვდები, რომელსაც ტანზე ვერ კიდევ ავიდა ძველი ლაქის თხელი ნაფლეთი, როგორც მოხუცს გახუფებული შალი, რომელსაც ვერ ელევა. შიგნით შესვლისთანავე ვიგრძენი ჩამონოლილი ჰაერი – მიმიე, ოდნავ ტკბელი, ოდნავ დამაბალი. ისეთი სუნი აქვს, თითქოს მეხსიერება ლეკვა კუთხეებში და მაინც ცდილობს, სახე არ დაკარგოს. მარცხენა კედელი ნამსხვერველს ჰგავს, ალბათ, დრო ცდილობდა აქ ცხოვრებას და საბოლოოდ თავადაც დაინგრა. საჭიროა მხოლოდ ერთი მზერა იატაკზე, რომ მიხვდე – აქ ფეხდაფეხ დადიოდნენ ადამიანები, ვისი ნაბიჯებიც წლებია, აღარ განმეორებულა. კუთხეებში, საყრდენად მიყრდნობილი ჩრდილები შემოსვლისთანავე აკვირდებიან ჩემ ფოთოლივით დაძარღვულ ხელებს. ზუსტად შუაში მაგადა დგას მიმიე, მყარი, გაუმრეველი, როგორც ნახევრად მყარობი რალაც, რაც შენ აღარ გეკუთვნის. კიდევ ნახევრად ჩამოღერდი სანთელი დგას, რომლის ვინრო, მოკრძა-



ბარბარე ჯვარიძე სოფელ ზიკილის (ახალციხის მუნიციპალიტეტი) საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე



**თითოეულ** ჩვენგანს აქვს საყვარელი საქმე, რომელსაც ვაქცევთ. თუმცა, ის, რაზეც დღეს მინდა გესაუბროთ, ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ გატაცება. მინდა მოგიყვებოთ ჩემი დაბუდეული უდიდესი სიყვარულზე – პოეზიაზე. ლექსების კითხვა ჩემი სულის ნაწილია: ის მაძლევს სიმშვიდეს, არის ნაშალი დალილი დღეების, ხასიათის გამოსახსნორებელი და ჩემი შინაგანი სამყაროს განუყოფელი ნაწილი.

დედა დღემდე მიყვება, როგორი წყნარი ბავშვი ვიყავი, როგორ ყურადღებით ვუსმენდი ზღაპრებს, რომლებსაც ყოველ საღამოს, ძილის წინ მიკითხავდა. თავად კი კარგად მახსოვს ის განსაკუთრებული სია-

# ლექსით დაწყებული გზა

მოვწევა, რომელიც მეუფლებოდა, როდესაც ჩემი დის მიერ ნაკითხულ ლექსებს ვუსმენდი. განსაკუთრებით დიდი ზომის ლექსები მიყვარდა, მათი დასწავლა მეტ დროს მოითხოვდა, მე კი უფრო დიდხანს მქონდა მოსმენისა და სიამოვნების მიღების შესაძლებლობა.

მოსწავლეობის პერიოდში ლექსებს ხშირად სარკის წინ ვსწავლობდი, თან ვაკვირდებოდი მიმიკებს, ხელის მოძრაობებს, ჩაცმულობასა და თმსაც კი. როდესაც მოწყენილი ვიყავი, სარკესთან ლექსის კითხვა განსაკუთრებით მიყვარდა, პოეზია მამშვიდებდა და შინაგან ნონასწორებას მიბრუნებდა. მაშინ ეს უბრალოდ ბავშვური თამაში მეგონა, თუმცა, დღეს ვხვდები, რომ უკვე მაშინ, გაუცნობიერებლად, პოეზიის სამყაროს ვუახლოვდებოდი.

მეცხრე კლასის მოსწავლე ვიყავი, როდესაც პირველად მომიწია დიდი აუდიტორიის წინაშე ლექსის წაკითხვა, თანაც, ქართულ ენაზე. 14 აპრილს, დედადღის დღესთან დაკავშირებით, ქალაქ ვალეში გამართულ ღონისძიებაზე, სცენაზე გამოსვლა დამევალა. დღემდე მკაფიოდ მახსოვს ის ემოციები, რომლებიც იმ დღეს დამეუფლა და მთელი დღის განმავლობაში არ მშორდებოდა. სწორედ ამ დღიდან დაიწყო ჩემი განსაკუთრებული სიყვარული ქართული პოეზიისადმი.

მაღევე, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოცდილება დამიგროვდა – ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაში მონაწილეობა. არასოდეს დამავინებდა ის დღე, რადგან პირველად შევძელი, ჩემი ნაკითხული ლექსით ადამიანებში ისეთი ემოციის გამოწვევა, რომ ცრემლები ვერ შეიკავეს. მაშინ პირველად ვიგრძენი, რა ძალა აქვს ლექსის გამართულად და გულთხარე ნაკითხვას. მე უბრალოდ ტექსტს კი არ ვკითხულობდი, ვგრძნობდი ემოციას, რომელიც ავტორმა ლექსში ჩადო და რომლის გადმოცემაც მსმენელისთვის მინდოდა. ფიქრით თავდაც იქ გადავინაცვლე, სადაც ლექსში აღწერილი მოქმედება მიმდინარეობდა.

შემდეგი დასამახსოვრებელი თარიღიც კვლავ 14 აპრილი იყო, ამჯერად 2019 წელს, სოფელ საყურეთში. მახსოვს, მეორე დღეს ქიმიის მასწავლებელი ლიმილით შემოვიდა კლასში და მიხარა: „გადაწყვიტეს, რომ გუმინდელ ღონისძიებაზე საუკეთესო სამუშაო იყავი“. ეს სიტყვები ჩემთვის კიდევ ერთი დიდი მოტივაცია გახდა.

სკოლის შემდეგ სტუდენტობა პოეზიის სიყვარული უფრო გაამძაფრა. არ დამიტოვებია არც ერთი პოეზიის საღამო, სადაც არ წავიკითხე ლექსი. აუდიტორია, მსმენელთა ყურადღება და მათი ემოციები ჩემთვის თანმდევი სტიმულად იქცა.

დღეს, როდესაც ამ გზას ვიხსენებ, ვხვდები, რომ პოეზია ჩემს ცხოვრებაში შემთხვევით არ შემოსულა. ბავშვობიდანვე ჩაბუდეული სიყვარული პოეზიისადმი ნელ-ნელა ჩამოყალიბდა ჩემი სულის იმ ნაწილად, რომლის გარეშეც საკუთარი თავი ვერ წარმომიდგენია. პოეზიისადმი ჩემს ასეთ სიყვარულში დიდი წვლილი შეიტანეს მასწავლებლებმა, ლექტორებმა, სტუდენტებმა და იმ აუდიტორიამ, რომელმაც ყოველთვის სიყვარულით მომიხმინა.

არც ერთ მოთხრობას, საუბარს თუ სტატიას არ უნდა ჰქონდეს ისეთი შინაარსი, საიდანაც მკითხველი სამაგალითოსა და სასარგებლოს ვერ გამოიტანს. ჩემი სტატიაც გამონაკლისი არ არის. მსურს ვთქვა, რომ თითოეულ ჩვენგანს ღმერთისგან ბოძებული ნიჭი აქვს, საჭიროა მისი აღმოჩენა, განვითარება და სწორად, სასარგებლოდ გამოყენება, არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ იმ ადამიანებისთვისაც, ვისთვისაც ეს ნიჭი შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. ნიჭი, რომელიც ჩვენშია ჩადებული, არ უნდა დაიკარგოს.

**ანა მიხაპლიანი**  
დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 კურსი

## ერთობა, რომელიც იწყება მისხეთიდან

მოგესალმებით გაზეთის მკითხველთ. დღეს გაგაცნობთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ცენტრის – „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ – ორ ახალ წევრს – გიორგი დევაძესა და გიორგი ასპანიძეს, ადამიანებს, რომლებმაც შეგნებულად აირჩიეს ეს გზა და გადაწყვიტეს, საკუთარი ხმა ყველასთვის გასაგონი გაეხდათ. მათთან საუბარი არის შესაძლებლობა, უკეთესი გავიგოთ, რას ნიშნავს ახალგაზრდებისთვის ერთობა, პასუხისმგებლობა და მშვიდობისკენ მიმართული მოქმედება.

– აფხაზური ცენტრი ჩემთვის არის პლატფორმა, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ განვითარება, ახალი გამოცდილების მიღება და პოზიტიური ცვლილებების შექმნა საზოგადოებაში.

– დიდი მადლობა, გიორგი, გულწრფელი პასუხებისთვის.

– მადლობა თქვენ. გისურვებთ მშვიდობასა და ერთობას.

კიდევ ერთი მოტივირებული და ახალგაზრდული საქმიანობა იმედებული პიროვნება უნდა გაგაცნოთ. კვლავ გიორგი, ამჯერად – ასპანიძე.

– გამარჯობა, გიორგი. გვიამბე შენ შესახებ.

– მოგესალმებით. ყოველთვის მსიამოვნებდა იმის მოსმენა, თუ როგორ წარმადგენდნენ, როდესაც რაიმე მნიშვნელოვან პროექტში ვიღებდი მონაწილეობას. მიხაროდა, თუ როგორ აცხადებდნენ ჩემს სახელსა და გვარს. და აი, დღესაც, აფხაზურმა ცენტრმა დამომცა იმის შესაძლებლობა, რომ ისევ თამამად წარვადგინო თავი თქვენ წინაშე.

– რატომ გადაწყვიტე აფხაზური ცენტრის წევრობა?

– აფხაზური ცენტრის წევრობა იმიტომ გადავწყვიტე, რომ მიწოდდა მეტი გამეგო იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ცდილობენ, დაანახონ საზოგადოებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ენ-გურს იქით მცხოვრები ადამიანები, მათი ისტორიები, ჩვენი საერთო წარსული, ბედნიერი მომენტები და, რაც ყველაზე მთავარია, მშვიდობიანი თანაცხოვრება. მსურს, საკუთარი სათქმელი ვთქვა და შევუერთდე სასიკეთო ქმედებების შთამბეჭდავ ციკლს. აფხაზური ცენტრის ნამდვილად არის და მუდამ იქნება მშვიდობისა და ურთიერთობისთვის ყველაზე დიდი მხარდამჭერი.

– რა ღირებულებები შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ საქმიანობაში?

– საზოგადოებრივ საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლიანობა, თანასწორობა და მიუკერძოებლობაა. ეს ღირებულებები უზრუნველყოფს, რომ არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა. ჩემთვის მოხალისეობრივი ღირებულება წინა პლანზეა. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე აფხაზურ ცენტრში განვერიანება, რათა გავიღო რესურსი, რომ სხვებმაც შეძლონ ამ ყოველივეს გაგება. თავად ვიყო ჩართული ერთიანი მომავლის მშენებლობის პროცესში.



– რა არის ის ერთი მესიჯი, რომელიც გასურს საზოგადოებას გაიგოს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით?

– მხოლოდ ერთი თქმა შემიძლია. ის, რაც საუკეთესოდ გამაზრებინა ამ ცენტრმა და მომცა შესაძლებლობა, თავად გამეუფებინა, ამაყად და ომანიადა: „სისხლი სისხლით არ მოიბანება, ვეძებოთ მშვიდობა!“

– გიორგი, როგორ ფიქრობ, დიალოგი უფრო რთულია თუ აუცილებელი?

– ფიქრობ, დიალოგი, ერთი მხრივ, რთული, თუმცა, აუცილებელი რამაა. დიალოგი უთანხმოების მოგვარების ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია, რადგან ის საშუალებას გვაძლევს, დაპირისპირება თანამშრომლობით შევცვალოთ. ურთიერთგაგებისა და პატივისცემის უალტერნატივო საშუალებად მიმაჩნია დიალოგი.

– და ბოლოს, რას ნიშნავს შენთვის აფხაზური ცენტრი?

– ჩემთვის აფხაზური ცენტრი ცხოვრების კიდევ ერთი, ყველაზე საამაყო ეტაპის დასასრულია.

– მადლობა, გიორგი. გისურვებ ასრულებულ ოცნებებსა და მიღწეულ მიზნებს.

– მადლობა გაზეთის მკითხველს და თქვენ. მშვიდობიანი თანაცხოვრების დროა!

– რატომ გადაწყვიტე აფხაზური ცენტრის წევრობა?

– აფხაზური ცენტრის წევრობა იმიტომ გადავწყვიტე, რომ მიწოდდა მეტი გამეგო იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც ცდილობენ, დაანახონ საზოგადოებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ენ-გურს იქით მცხოვრები ადამიანები, მათი ისტორიები, ჩვენი საერთო წარსული, ბედნიერი მომენტები და, რაც ყველაზე მთავარია, მშვიდობიანი თანაცხოვრება. მსურს, საკუთარი სათქმელი ვთქვა და შევუერთდე სასიკეთო ქმედებების შთამბეჭდავ ციკლს. აფხაზური ცენტრის ნამდვილად არის და მუდამ იქნება მშვიდობისა და ურთიერთობისთვის ყველაზე დიდი მხარდამჭერი.

– რა ღირებულებები შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივ საქმიანობაში?

– საზოგადოებრივ საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლიანობა, თანასწორობა და მიუკერძოებლობაა. ეს ღირებულებები უზრუნველყოფს, რომ არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა. ჩემთვის მოხალისეობრივი ღირებულება წინა პლანზეა. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე აფხაზურ ცენტრში განვერიანება, რათა გავიღო რესურსი, რომ სხვებმაც შეძლონ ამ ყოველივეს გაგება. თავად ვიყო ჩართული ერთიანი მომავლის მშენებლობის პროცესში.

– გამარჯობა, გიორგი. გაუზიარე ჩვენს მკითხველს შენ შესახებ, ვინ არის გიორგი დევაძე?

– მოგესალმებით. მე ვარ გიორგი დევაძე, 20 წლის. ვსწავლობ სამართლის სპეციალობის მეორე კურსზე. ჩემი პროფესია ჩემთვის ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით – სამართლის კონცეფციების გაცნობა და მუხლების დეტალური შესწავლა.

თავისუფლად დროს ვვარჯიშობ და გამორჩეულად მიყვარს ფეხბურთი. ვცდილობ, მიყვებ ვახსანა ცხოვრების წესს. გარდა ამისა, მომწონს ისტორიის შესწავლა და ახალი ინფორმაციის მიღება ლეგენდარულ ქართველებზე. ვარ ამბიციური. ყოველ დღე ვცდილობ, რომ უკეთესი ვაგხდე.

– რა იყო პირველი აზრი ან ემოცია, როდესაც ცენტრს პირველად გაეცანი?

– ჩემი პირველი ემოცია იყო აღტაცება, რადგან დავინახე ძალიან ჭკვიანი ახალგაზრდები და ეს ჩემში მოტივაციას კიდევ უფრო ზრდიდა.

– გიორგი, რატომ გადაწყვიტე აფხაზური ცენტრის წევრობა?

– პირველ რიგში, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა და მათი აქტიური მონაწილეობა მშვიდობისა და ერთობის მშენებლობის საკითხებში. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ ისეთი სივრცე, როგორიც აფხაზური ცენტრია, მათ მიერ განხორციელებული ინიციატივები და პროექტები, მნიშვნელოვნად დამეხმარება ჩემი კარიერული და პიროვნული განვითარების მიმართულებით. აქ ხომ სიტყვებზე მეტად ქმედება ფასობს.

– შენი აზრით, რა როლი აქვთ ახალგაზრდებს მშვიდობისა და დიალოგის პროცესში?

– მე ვფიქრობ, რომ ახალგაზრდები ქმნიან ახალ ცხოვრებას და დღევანდელი თაობა ძალიან ჭკვიანი და ამბიციურია. ჩემი აზრით, ეს პროცესი, რომელიც გულისხმობს დიალოგისა და მშვიდობის მშენებლობას, ახალგაზრდების მოტივაციისა და პასუხისმგებლობის გამო უფრო დიდ

წარმატებას მიაღწევს. პირადად ჩემთვის ძალიან სასიხარულო და საამაყოა, ვუერთდებოდე პროგრესულად მოაზროვნეთა რიგებს. როგორც ვთქვი, ეს კიდევ უფრო მეტ მოტივაციას მაძლევს, რომ მაქსიმალური იყოს ჩემი წვლილი საოცნებო ერთობის გზაზე განხორციელებულ აქტივობებში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებმა არ დაივიწყონ ძველი თაობის რჩევები, ის, რაც უკვე იყო, გამოიყენონ მაგალითად, რადგან წინაპრების მოსმენის გარეშე შეიძლება იგივე შეცდომები დაუშვან.

– რას ეტყობ ახალგაზრდებს, რომლებიც ჯერ კიდევ

წარმატებას მიაღწევს. პირადად ჩემთვის ძალიან სასიხარულო და საამაყოა, ვუერთდებოდე პროგრესულად მოაზროვნეთა რიგებს. როგორც ვთქვი, ეს კიდევ უფრო მეტ მოტივაციას მაძლევს, რომ მაქსიმალური იყოს ჩემი წვლილი საოცნებო ერთობის გზაზე განხორციელებულ აქტივობებში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებმა არ დაივიწყონ ძველი თაობის რჩევები, ის, რაც უკვე იყო, გამოიყენონ მაგალითად, რადგან წინაპრების მოსმენის გარეშე შეიძლება იგივე შეცდომები დაუშვან.

– რას ეტყობ ახალგაზრდებს, რომლებიც ჯერ კიდევ



ფიქრობენ, ჩართონ თუ არა მსგავსი ინიციატივებში?

– პირველ რიგში, მოვისმენ მათ აზრს და მშვიდად აუხსნის, რომ მსგავსი ინიციატივები ხელს უწყობს საკუთარი თავის განვითარებას, ახალი მეგობრობისა და ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ასევე, კომპლექსების მოშორებასა და კარიერული წინსვლის მიღწევას. გარდა ამისა, მონაწილეობის საშუალებით ახალგაზრდები იღებენ ახალ შესაძლებლობებს, დამოუკიდებლობასა და საშუალებას, იყვნენ საზოგადოებისთვის სასარგებლო პროცესებში ჩართულნი.

– რას ნიშნავს შენთვის აფხაზური ცენტრი?

მე ვარ გიორგი ასპანიძე, 19 წლის. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი. ბავშვობიდან მიყვარდა სიმღერა, განსაკუთრებით მუსიკალურ საკრავებზე დაკვრა. 12 წლის ასაკში უკვე სერიოზულად მოვეციედი ამ საქმიანობას. „მუსიკა გამოხატავს იმას, რასაც სიტყვებით ვერ გადმოვცემ და იმას, რაც არღვევს სიჩუმეს“. ვიქტორ ჰიუგოს ამ გამოთქმამ, დიდი ადგილი დაიკავა ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ხშირად ვუსმენ სხვადასხვა ჟანრის მუსიკას და ვცდილობ, პიანინოს დახმარებით ავაჟღერო ის.

<p><b>რედაქტორი</b> მარინა ჯაფარაშვილი</p> <p><b>რედაქციის მისამართი</b> ქ. ახალციხე, რუსთაველის 113</p> <p><b>რედაქციის მისამართი</b> ქ. ახალციხე, რუსთაველის 113</p> <p><b>ტელ.:</b> (+995) 22 890 400 191 <b>ტელ.:</b> 599 25 25 68</p> <p><b>ვებ-გვერდი:</b> www.sjuni.edu.ge</p>
---